# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№28 (24.908) ხუთშაბათი, 24 - 25 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, შიდამთიან რაიონებში - 3-8 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა.

## კრიალოსანი N იუსი

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის მოადგილეს პოლიტიკისა და პროგრამების საკითხებში იზაბელ კოულმენს შეხვდა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ წელს საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილე აღინიშნება, ითქვა, რომ ორ ქვეყანას დღეს საერთო ღირებულებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული მტკიცე სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს.

* * *

მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არ განვიხილოთ ომის პარტი-



ის, ასევე მისი დანაყოფების არც ერთი ინიციატივა, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა. მისი თქმით, წარმოუდგენელია შეხვიდე იმ ხალხის მიერ ინიცირებული საკითხების შინაარსის განხილვაში, რომლებიც ჰიბრიდულ, საინფორმაციო ომს აწარმოებენ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. „ჩვენ, საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ მათ არც ერთ ინიციატივას არ განვიხილავთ,“ - აღნიშნა მდინარაძემ.

* * *

„ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“ რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საკითხებთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. „შეხვედრის მიზანი იყო ერთად განგვეხილა, რა ნაბიჯებს უნდა დგამდეს დემოკრატიული სახელმწიფო და რა ინსტრუმენტები აქვს ხელთ დემოკრატიას იმისთვის, რომ დეზინფორმაცია, აგრესიული ომის პროპაგანდა და ოკუპანტი სახელმწიფოს ინტერესების გატარება იყოს ეროვნული უსაფრთხოების პრიზმაში გატარებული და სახელმწიფოს სწორი რეაგირება ჰქონდეს ამ გამოწვევებზე“, - განაცხადა „ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“ წევრმა ანა ნაცვლიშვილმა.

* * *

სახელმწიფო განაგრძობს უკრაინიდან ევაკუირებული საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ორგანიზებულად დაბრუნებას და ადგილზე მათ დახმარებას, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება. მათივე ცნობით, უკვე უზრუნველყოფილია 2000-ზე მეტი მოქალაქის სამშობლოში დაბრუნება.

**მოამზადა ია შველიძემ**

# ბათუმის არასტანდარტული ნაგავსაყრელი დაიხურება და ქობულეთის ნარჩენების მართვის ობიექტი აღიჭურვება

***აჭარაში თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა. მიმდინარეობს მისი ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები. პარალელურად, ბათუმის არასტანდარტული ნაგავსაყრელის კონსერვაცია ხორციელდება***

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან (EBRD) მიღწეული შეთანხმებით, ბათუმის არასტანდარტული ნაგავსაყრელის დახურვასთან ერთად, ქობულეთის (ცეცხლაურის) თანამედროვე სტანდარტების ნარჩენების მართვის ობიექტი ტექნიკით აღიჭურვება, რასაც ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (EBRD) 28 მლნ ევროთი დააფინანსებს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე EBRD-ის კავკასიის რეგიონულ დირექტორს კატარინა ბიორლინ ჰანსენს შეხვდა და მასთან ერთად მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილა.



შეხვედრის შემდეგ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ქობულეთში, მყარი ნარჩენების მართვის ობიექტზე იმყოფებოდა. EBRD-ის, KFW-ს და გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელებულ სამუშაოებს გაეცნენ.

მყარი ნარჩენების მართვის პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 7 მილიონ ევროს შეადგენს. აქედან 3 მილიონ ევროს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (EBRD) გამოყოფს, ხოლო 4 მილიონი ევრო გრანტის სახით შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ ფინანსდება.

**ანკა ჩხიკვაძე**


**იაპონიის საელჩოს გრანტი - აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვისცენტრს** 2

**ტუბდისპანსერის 100 წლის შენობა კაპიტალურ რემონტს საჭიროებს** 4

**თავისუფლების დასასრული უკრაინაში ნიშნავს...** 3

**შუახევიდან - სომალიში, სომალიდან - რუსეთში** 5


# ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებში უკვე ჩაირიცხა 20 უკრაინელი მოსწავლე

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

***ბათუმის სკოლებში გამარტივებული წესით უკრაინელი მოსწავლეების ჩარიცხვა მიმდინარეობს. საჯარო და კერძო სკოლებში უკვე ჩაირიცხა 20 უკრაინელი მოსწავლე***

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სკოლის მოსწავლეები, რომლებიც 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად ვერ აგრძელებენ უკრაინის სკოლებში ზოგადი განათლების მიღებას და გამოხატავენ სურვილს, რომ სწავლა გააგრძელონ საქართველოში, სკოლებში გამარტივებული წესით ჩაირიცხებიან.

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, უკრაინელი ბავშვები სკოლებში გამარტივებული წესით ჩაირიცხებიან. ბათუმის №7 საჯარო სკოლაში ორი უკრაინელი ბავშვი ჩაერთო სასწავლო პროცესში. ბათუმის მერიის ორგანიზებით, უკვე გაიგზავნა ჰუმანიტარული დახმარება უკრაინაში. ამასთან, ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ბათუმში მყოფი უკრაინელი მოქალაქეებისთვის გარკვეული სერვისების მიწოდების თაობაზე, რომელსაც ბათუმის



მერია ახორციელებს. ერთ-ერთი ასეთი სერვისია საბავშვო ბაღებში გამარტივებული რეგისტრაცია. კიდევ ერთხელ მინდა, მხარდაჭერა და თანადგომა გამოვუცხადო უკრაინელ ხალხს,- თქვა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.


დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# გერმანულ მხარესთან მიღწეული შეთანხმებით ბათუმში წყლის პროექტის მეხუთე ფაზის განხორციელება იწყება

***გერმანიის მხარდაჭერით ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის, პროფესიული განათლებისა და მდგრადი ურბანული განვითარების მიმართულებით. გერმანია ერთ-ერთი მსხვილი დონორია საქართველოში***

საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის/KFW-ს ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია ბათუმის წყლის თანამედროვე სისტემის განვითარების ინფრასტრუქტურული პროექტი.

21 მარტს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე შეხვდა გერმანიის საელჩოსა და KFW-ს წარმომადგენლებს. შეხვედრაზე გერმანული მხარის ჩართულობითა და დაფინანსებით მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესახებ იმსჯელეს. კერძოდ, თორნიკე რიჟვაძემ აჭარაში ბათუმის წყლის სისტემის განვითარების პროექტის მეხუთე ფაზის განხორციელების აუცილებლობას გაუსვა ხაზი. შეხვედრაზე გერმანულ მხარესთან შეთანხმებით განისაზღვრა შემდგომი ნაბიჯები, რაც მეხუთე ფაზის პროექტის 78.8 მლნ ევროთი დაფინანსებას ითვალისწინებს (მათ შორის გერმანიის მთავრობის/KfW დაფინანსება - 53 მლნ ევრო). საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური, ბათუმის წყლის სისტემის განვითარების ინფრასტრუქტურული პროექტის 4 ფაზა უკვე დასრულებულია.



პროექტის მეხუთე ფაზის ფარგლებში ადლიის, აეროპორტის, კახაბრის, ჩაქვის, ინდუსტრიული ზონის, ხელვაჩაურის, მეჯინისწყლის ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე სისტემა მოეწყობა. პროექტი ითვალისწინებს წყლის თანამედროვე სისტემების მოწყობას ბათუმის მთელ ტერიტორიაზე, ქალაქის სანიაღვრე სისტემების გამტარუნარიანობის გაუმჯობესებას, გარემოს დაბინძურებისა და მასზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ გერმანიის საელჩოს სამხრეთ კავკასიის განვითარების თანამშრომლობის ხელმძღვანელი ლიდია კრიტსმანი, KFW -ს სამხრეთ კავკასიის რეგიონული დირექტორი ბირგიტ ჰოლდერიდი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ეკატერინე გუნცაძე.

# იაპონიის საელჩოს გრანტი – აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვისცენტრს

***აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრმა“ საქართველოში იაპონიის საელჩოს „ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის (GGP)“ გრანტი მოიპოვა.*** სამინისტრომ და ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრმა“ საგრანტო პროგრამაში ერთობლივი ძალისხმევით წარადგინეს პროექტი „აჭარის რეგიონში სათბურ-იზოლატორის მოწყობის შესახებ“, რომლის მიზანია აჭარაში მანდარინის მაღალხარისხიანი ნერგების წარმოება, რაც მნიშვნელოვანია რეგიონის მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებისთვის და მანდარინის ბაღების განახლებისთვის.

მიღებული გრანტი შეადგენს 205 856 ათას ლარს, რომელსაც ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“ ჩაქვის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე 1000 კვმ თანამედროვე სათბურ-იზოლატორის (სქრინჰაუსის) მოწყობისთვის გამოიყენებს. იაპონიის საელჩოსა და ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრს“ შორის ხელშეკრულება მიმდინარე წლის 22 მარტს გაფორმდა.

- აჭარაში მანდარინის წარმოებაში 22 000-ზე მეტი ფერმერია ჩართული, ბევრი მათგანი დამოკიდებულია მანდარინის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალზე. დეგრადირებული, ბიოლოგიურად დაბერებული მანდარინის ბაღები მთავარი გამოწვევაა ამ დარგში, რაც ხელს უშლის ფერმერებს ღირსეული შემოსავლის გამომუშავებაში, გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2024 წლიდან ასოცირების ხელშეკრულებით (AA) გათვალისწინებული საქართველოსა და ევროკავშირს შორის კანონმდებლობის დაგეგმილი ჰარმონიზაციის საპასუხოდ, ქვეყნის ყველა სანერგე მეურნეობა უნდა იყოს სერტიფიცირებული და შესაბამისად, უნდა აწარმოებდეს სერტიფიცირებულ ნერგებს. ეს დიდი გამოწვევაა ადგილობრივი სანერგე მეურნეობებისთვის, ვინაიდან მათ უმეტესობას არ გააჩნია საჭირო ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები მაღალი ხარისხის, სერტიფიცირებული ნერგის წარმოებისთვის. სწორედ სათბურ-იზოლატორებია (სქრინჰაუსები) აუცილებელი ასეთი ნერგების წარმოებისთვის. ციტრუსი არის ჩვენი რეგიონისთვის სტრატეგიული კულტურა და სამინისტროს მომავალში დაგეგმილი აქვს, პროგრამებით ხელი შეუწყოს ციტრუსოვანთა ბაღების გაშენებას, ხარისხიანი ციტრუსის წარმოებას და ტრადიციული ბაზრების დივერსიფიცირებას, - განაცხადა შეხვედრისას აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა გიორგი სურმანიძემ.



# ბათუმის სანდასუფთავების სამსახურმა სპეცტექნიკა განაახლა

***ბათუმის სანდასუფთავების სამსახურმა სპეცტექნიკა განაახლა. ცხრა ერთეულიდან ხუთი ნარჩენების მზიდია, ხოლო ოთხი განკუთვნილია სადეზინფექციო და სადერატიზაციო ღონისძიებებისთვის***

- ბათუმის დასუფთავების სამსახურმა ახალი ტექნიკა შეიძინა, რომელიც ჩვენს ქალაქს მოემსახურება. ცხრა ერთეულიდან ხუთი ნარჩენების მზიდია, ხოლო ოთხი განკუთვნილია სადეზინფექციო და სადერატიზაციო ღონისძიებებისთვის. ასევე გამოცხადებულია ტენდერი 2 პრესდანადგარის შეძენასთან დაკავშირებით. ტექნიკის საერთო ღირებულება 2 მილიონ ლარს აღემატება. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის, ქალაქს სჭირდება განახლებული ინფრასტრუქტურა, რაც ეტაპობრივად განხორციელდება. რაც შეეხება ნარჩენების მართვის მიმართულებას, დაწყებულია საპილოტე პროგრამა მშრალი და სველი ნარჩენების გატანის კუთხით და შეძენილია სეპარაციისთვის განკუთვნილი 400 ერთეული ურნა. პროექტის მიზანია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. პარალელურად, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, კონკრეტულად კი პლასტმასის ნარჩენებისათვის დამზადდა სპეციალური კონტეინერები, რომლებიც ქალაქის მასშტაბით სპეციალურ ადგილებზე განთავსდა. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ, რომ დავნერგოთ ნარჩენების მართვის ყველაზე ეფექტიანად მიჩნეული მეთოდი, - განაცხადა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.



# უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში

***28 მარტიდან უქმდება ღია სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება და სხვა მოქმედი რეგულაციები. ეს გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ დღევანდელ სხდომაზე მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა***



საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე 28 მარტიდან პირბადის ტარების ვალდებულება შენარჩუნდება მხოლოდ დახურულ სივრცეებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

უქმდება სტუმრების რაოდენობაზე მოქმედი შეზღუდვა როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ასევე სპორტულ, სახელოვნებო თუ სხვა სახის ღონისძიებებზე, მათ შორის სოციალურ ღონისძიებებზე.

დისტანციურ სამუშაო რეჟიმში მყოფი საჯარო მოხელეები სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან.

ამასთანავე, უქმდება თვითიზოლაციის ვალდებულება საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ქვეყანაში PCR-ტესტის გარეშე ბრუნდებიან.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აპრილის განმავლობაში გაგრძელდება ვაქცინაციის წახალისების პროგრამა, რომლის თანახმად, 50 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები ვაქცინის პირველი დოზით აცრის შემთხვევაში 200 ლარს მიიღებენ, ხოლო ე.წ. ბუსტერ-დოზით აცრის შემთხვევაში, ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირებს 100 ლარი ჩაერიცხებათ.

საბჭოს დღევანდელ სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველო იქნება რეგიონში პირველი ქვეყანა, რომელიც „ფაიზერის“ მიერ შექმნილ კოვიდის სამკურნალო პრეპარატს მიიღებს. „პაქსლოვიდის“ პირველი დოზები ქვეყანაში უკვე შემოვიდა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებსა და რისკჯგუფების წარმომადგენლებს, ინფიცირების შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად, მკურნალობის კურსისთვის საჭირო დოზა უფასოდ გადაეცემათ.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

**გვერდი მოამზადა ნაირა ფუტკარაძემ**

# თავისუფლების დასასრული უკრაინაში ნიშნავს თავისუფლების ყოველგვარი იმედის განადგურებას საქართველოში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ესწრაფვოდა დასავლეთთან ურთიერთობას, თუმცა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას დრო სჭირდება. არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებული არაა საქართველოსა და ევროატლანტიკური ორგანიზაციების ურთიერთობაზე*



ასეთი ფაქტორის მაგალითია ის მწვავე რეაგირება, რასაც რუსეთი უკრაინის ევროატლანტიკური არჩევანის გამო ავლენს, აგრესიას ახორციელებს ამ ქვეყნის მიმართ. დასავლეთის თანადგომა რომ არა უკრაინისადმი და საქართველოსადმი, ეს სახელმწიფოები დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებდნენ. საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან ურთიერთობის 30-ე წლისთავს მარტში აღნიშნავს. როგორ ვითარდებოდა ეს ურთიერთობები და ამ პერიოდში რა დახმარება გაგვიწიეს? უნდა ვაღიაროთ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოხატა აშშ-მა და ევროკავშირმა ჩვენი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის, ეს იყო დახმარებები გრანტების და კრედიტების სახითაც. შეიძლება ბევრმა თქვას, რომ ეს დიდი ვალებია ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ქვეყანას ეს ვალები რომ არ აეღო, დღეს უფრო მძიმე მდგომარეობა გვექნებოდა. 2008 წელს აშშ-ის მკაფიო მხარდაჭერა რომ არა საქართველოსადმი, კრემლი თბილისის აღებასაც მოინდომებდა, უკრაინაში მიმდინარე ამჟამინდელი მოვლენები ამის თვალსაჩინო მაგალითია. საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისთვის საბედისწერო დროს დაიწყო - ქვეყანაში

> *„აღსანიშნავია რუსეთის საგარეო უწყების განცხადება, რომ ევროკავშირი ცდილობს რუსეთის ინტერესების ხელყოფას, არადა, ადრე მოსკოვი მსგავს განცხადებებს მხოლოდ ნატოს მიმართ ახმოვანებდა, რაც ნიშნავს, რომ რუსეთი მეზობლებისგან სრულ მორჩილებას მოითხოვს. ამას ხან „უბლოკო სტატუსს“ უწოდებს, ხან - ნეიტრალიტეტს*

სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, კრემლის წაქეზებით დაამხეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება... როგორი ქვეყანა ჩაიბარა შევარდნაძემ? ეს იყო, ფაქტობრივად, ამჟამინდელი ავღანეთის მსგავსი სახელმწიფო, რომელსაც კრიმინალური ბანდები მართავდნენ. შევარდნაძემ შეძლო მათგან ქვეყნის განთავისუფლება, კონსტიტუციის მიღება, ფულის ერთეულის შემოღება, საქართველო საერთაშორისო იზოლაციიდან გამოიყვანა, პირველი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები შექმნა, რაშიც მას დასავლეთი და, კონკრეტულად, აშშ დაეხმარა. სწორედ მათი ინიციატივით და თანადგომით ამუშავდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ნატოსთან კონსულტაციები დაიწყო. ასევე, დასავლეთის ძალისხმევით, სტამბოლში 1999 წელს რუსეთმა ხელი მოაწერა ისტორიულ შეთანხმებას საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ. არ ჩამოვთვლი იმ ფინანსურ დახმარებებსა და ეკონომიკურ პროექტებს, რომლებიც დასავლეთმა განახორციელა.

რატომ აკეთებს ამას აშშ? მას, როგორც საქართველოს მეგობარ ქვეყანას, არ სურს, აქ ქაოსმა და ანარქიამ დაისადგუროს, ვინაიდან მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ამერიკისთვისაა მიუღებელი, რადგან მას ნამდვილად არ აძლევს ხელს საქართველოსა და უკრაინის პროდასავლური კურსიდან გადახვევა. რუსულ პროპაგანდას სურს, უკრაინელები დააჯეროს, რომ დასავლეთმა ის მიატოვა, არადა, რეალურად, აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერის გარეშე უკრაინა ვერ შეძლებდა რუსული საჯარისო ნაწილების შეკავებასა და განადგურებას. უკრაინელები დასავლეთის მიერ მიწოდებული ულტრათანამედროვე იარაღით იგერიებენ მტერს. დაზვერვის ინფორმაციებსაც ღებულობენ მტრის შესახებ. ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია ომის წარმოების თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, ყველაფერი არ ვიცით, რასაც დასავლეთი აკეთებს რუსეთის დასამარცხებლად უკრაინასთან ომში. დაწესებული ეკონომიკური სანქციები მართლაც სავალალოა რუსეთისთვის. ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ რამდენიმე თვეს კიდევ შენარჩუნდება სანქციები, რუსეთი უკან დაიხევს. აშკარაა, რომ ახლა უკრაინაში ერთმანეთს დასავლეთი და რუსეთი უპირისპირდებიან. ასეთი რამ მათ შორის ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში სხვადასხვა რეგიონში მოხდა. საქართველო რუსეთის ამბიციების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა. 2008 წლის ომი ერთი ეპიზოდი იყო დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებისა. სწორედ მაშინ თქვა რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა მედვედევმა: „ჩვენ რომ 2008 წელს არ დაგვეწყო ომი საქართველოსთან, ეს ქვეყანა ნატოს წევრი გახდებოდა“.

ისმის კითხვა, რატომ ეწინააღმდეგება მოსკოვი პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაწევრიანებას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში? ოფიციალური მოსკოვი მიიჩნევს, რომ ნატოს, ევროკავშირისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების თანამშრომლობა მის წინააღმდეგაა მიმართული. აღსანიშნავია რუსეთის საგარეო უწყების განცხადება, რომ ევროკავშირი ცდილობს რუსეთის ინტერესების ხელყოფას, არადა, ადრე მოსკოვი მსგავს განცხადებებს მხოლოდ ნატოს მიმართ ახმოვანებდა, რაც ნიშნავს, რომ რუსეთი მეზობლებისგან სრულ მორჩილებას მოითხოვს. ამას ხან „უბლოკო სტატუსს“ უწოდებს, ხან - ნეიტრალიტეტს, მაგრამ საკითხავია, ამ ნეიტრალიტეტში რას გულისხმობს? დავუშვათ, უკრაინა და საქართველო დათანხმდნენ ნეიტრალურის სტატუსს, მოსკოვი დაუბრუნებს მათ ოკუპირებულ ტერიტორიებს? მოსკოვი ამაზე არც კი საუბრობს, ამბობს, რომ საქართველო და უკრაინა უნდა შეეგუონ ახალ რეალობას, ანუ პრეტენზია აღარ განაცხადონ წართმეულ ტერიტორიებზე. მოსკოვს, როგორც ჩანს, უფრო შორსმიმავალი მიზანი აქვს. სწორედ ამის შესახებ საუბრობს ანალიტიკოსი ირაკლი ლექვინაძე: „პუტინის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომის მიზანი არის ორი რამ, პირველი და ლოკალური: უკრაინის სახელმწიფოებრიობის გაუქმება, და მეორე - გლობალური, მესამე მსოფლიო (ე. წ. ცივი) ომში დამარცხებისთვის დასავლეთზე რევანშის აღება. უნდა გავიაზროთ, რომ მეორე, უფრო გლობალური მიზნის მისაღწევად ჯერ საჭიროა პირველის მიღწევა ნებისმიერ ფასად. პუტინის ფარული ჩანაფიქრი ამ ომში არის სსრკ-ის საზღვრებში რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის აღდგენა, რომელშიც უნდა გაერთიანდნენ უკრაინა, ბელარუსი და სამი სამხრეთკავკასიური ქვეყანა...“ - დასძენს ანალიტიკოსი და იმასაც ამბობს, რომ დასავლეთი უკრაინასთან ერთად ყველაფერს აკეთებს, რომ რუსეთის ეს გეგმა ჩავარდეს. რუსეთი უკრაინაში სამხედრო წარმატებას ვერ აღწევს, მისი ჯარის უძლეველობის შესახებ მითი დაინგრა და ეს გააკეთეს უკრაინელებმა გმირობით, თავგანწირვით. თუ შევხედავთ თანამედროვე მსოფლიოს, დავინახავთ, რომ პრაქტიკულად მოსკოვს მოკავშირეები არ ჰყავს (თუ არ ჩავთვლით ბელარუსს), თუმცა ბელარუსის მოსახლეობა პარტიზანულად ებრძვის რუსეთს, აზიანებს უკრაინისკენ მიმავალ სარკინიგზო და სახმელეთო გზას, გარკვეულწილად, ეხმარებიან უკრაინას. ადრე თუ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა რუსეთის აგრესიულობაში, უკრაინის მოვლენებმა ყველაფერს ფარდა ახადა, ნათლად გამოჩნდა თეთრი და შავი, სიკეთე და ბოროტება.

მიმოვიხედოთ გარშემო, რა ხდება, ვის მივბაძოთ - რუსეთს თუ ევროპას? რა თქმა უნდა, ევროპას, რადგან იქ თითოეული ქვეყნის სუვერენიტეტი ხელშეუხებელია და ადამიანის უფლებების დაცვასაც ყოველმხრივ უზრუნველყოფენ. ევროპა შეიძლება უნაკლო არ იყოს, მაგრამ ევროპული სახელმწიფო ძალიან გამართული, ძლიერია, რასაც ცხადყოფს ბალტიისპირეთის ქვეყნების მზარდი ეკონომიკური მაჩვენებელი და განვითარება, რუსეთში კი არათუ სხვისას, თავისი მოქალაქეების უფლებებსაც ფეხქვეშ თელავენ... უკრაინის მაგალითი ცხადყოფს, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება, რაც კრემლის ავტორიტეტს მსოფლიოში ერთიორად ლახავს. რუსეთი ისევ მარტო დარჩა. გრძელვადიან პერსპექტივაში თუ განვიხილავთ, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ყირიმისა და დონეცკის რეგიონების ჩამოშორება საქართველოსა და უკრაინიდან დროებითია, რადგან საბჭოთა კავშირმაც კი მხოლოდ 70 წელი იარსება, რუსეთი კი საბჭოთა კავშირის სიძლიერეს ვერც ეკონომიკური და ვერც სამხედრო თვალსაზრისით ვერ აღწევს. ექსპერტთა თქმით, რუსეთი დროთა განმავლობაში შეეგუება საქართველოსა და უკრაინის დამოუკიდებლობას. შესაძლოა, ზემოთქმული ჯერ არარეალური გვეჩვენოს, მაგრამ გავიხსენოთ წარსული: რუსეთი ამბობდა, რომ არ შეეგუებოდა ვარშავის ბლოკის დაშლას, მაგრამ შეეგუა. მერე თქვა, რომ არაფრით დათანხმდებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატოში გაწევრიანებას, მაგრამ ხომ დათანხმდა?! ასე რომ, საქართველოს, უკრაინის განუყოფელი მხარეების დეოკუპაცია დროის საკითხია, მთავარია, ჩვენ ამას მომზადებული შევხვდეთ. რასაკვირველია, რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ შენელდეს საქართველოსა და უკრაინის პროდასავლური კურსი. როგორც ვთქვით, უკრაინა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისთვისაც იბრძვის, რაც, სხვათა შორის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის განცხადებაშიც აისახა: „მე ვიცი, მსოფლიოში არიან ადამიანები, თუნდაც ზოგიერთ დასავლურ მთავრობებში... რომლებიც ამბობენ, რომ ჯობია კომპრომისზე წასვლა ტირანიასთან. ისინი ცდებიან. პუტინთან ურთიერთობის ნორმალიზების მცდელობით, როგორც ეს გავაკეთეთ 2014 წელს, ისევ იგივე შეცდომას დავუშვებთ... თავისუფლების დასასრული უკრაინაში ნიშნავს თავისუფლების ყოველგვარი იმედის განადგურებას საქართველოში, შემდეგ მოლდოვაში“. იმედია, დასავლეთი გააცნობიერებს ამ საშიშროებას და რუსეთის ამბიციებს ისე მოთოკავს, რომ რუსეთის იმპერია ვეღარასდროს აღდგეს.

## უცხოეთი

თუ ნატო უკრაინაში თავის მშვიდობისმყოფელებს გაგზავნის, ეს იქნება პირდაპირი შეტაკება რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებსა და ალიანსს შორის, - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. „იმედი მაქვს, ესმით, რაზე საუბრობენ. ეს იქნება სწორედ ის პირდაპირი შეტაკება რუსეთისა და ნატოს შეიარაღებულ ძალებს შორის, რომელიც ყველას არა მხოლოდ სურს თავიდან აიცილოს, არამედ მიიჩნევს, რომ ეს საერთოდ არ უნდა მოხდეს“, - დასძინა ლავროვმა. ნატოს საგანგებო სამიტი დღეს ბრიუსელში გაიმართება. მას ალიანსის წევრ სახელმწიფოთა ლიდერები დაესწრებიან, სადაც პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა გეგმავს, აღნიშნულ ინიციატივაზე ისაუბროს.

* * *

გერმანია უარს აცხადებს უკრაინის ცის არასაფრენ ზონად გამოცხადებაზე, - ამის შესახებ განაცხადა ქვეყნის კანცლერმა ოლაფ შოლცმა გუშინ, ბუნდესტაგში გამოსვლისას. „რა თქმა უნდა, მესმის იმათი ხმა, ვინც ითხოვს არასაფრენ ზონას ან ნატოს მშვიდობისმყოფელთა გაგზავნას უკრაინაში, მაგრამ რამდენად მძიმეც უნდა იყოს, ჩვენ ამაზე არ წავალთ, ნატო არ გახდება ომის მხარე, ამ საკითხში ჩვენ ევროპელ მოკავშირეებსა და აშშ-თან ერთიანნი ვართ“, - აღნიშნა შოლცმა. მისივე თქმით, აქამდე ეს ხერხდებოდა და ასეც უნდა დარჩეს. ამავდროულად, კანცლერმა თქვა, რომ უკრაინას შეუძლია გერმანიის დახმარების იმედი ჰქონდეს.

* * *

ოფიციალური მოსკოვი საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის მთავარი ფორუმის მნიშვნელოვანი წევრია, - განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვან ვენბინმა, რომელმაც G20-დან რუსეთის შესაძლო გარიცხვის წინადადება გააკრიტიკა. „დიდი ოცეულის“ არცერთ წევრს არ აქვს უფლება, წევრობა წაართვას სხვა ქვეყანას“, - განაცხადა დიპლომატმა. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გეგმავს, მონაწილეობა მიიღოს „დიდი ოცეულის“ სამიტში, რომელსაც 30-31 ოქტომბერს ინდონეზია უმასპინძლებს.

* * *

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა სომხეთის მიერ გავრცელებულ განცხადებას, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მთიან ყარაბაღს, სადაც რუსეთის მშვიდობისმყოფელები დროებით არიან დისლოცირებულნი, გაზის მიწოდება შეუწყვიტა. უწყებაში აღნიშნულს ერევნის მხრიდან „არაკონსტრუქციული ქმედება“ უწოდეს. სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლეილა აბდულაევამ მოუწოდა სომხურ მხარეს, „მეტი ყურადღება დაუთმოს სამმხრივი მოლაპარაკებების ფორმატში აღებული ვალდებულებების შესრულებას და რეგიონიდან გაიყვანოს ჯარის დარჩენილი ნაწილი, რითაც უზრუნველყოფს რეგიონალურ მშვიდობას და უსაფრთხოებას“.

მოამზადა
ია შველიძემ

**24 მარტი ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა**

# ტუბდისპანსერის 100 წლის შენობა კაპიტალურ რემონტს საჭიროებს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ტუბერკულოზი ინფექციური დაავადებაა, რომლის დამარცხება შესაძლებელია სწორი მკურნალობით. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე რჩება ინფექციური დაავადებებით სიკვდილიანობის წამყვან მიზეზად. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებით, ტუბერკულოზით ყოველდღიურად ავადდება 30 000 და იღუპება 4 500 ადამიანი***



*რა ხდება ამ მიმართულებით საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში, რა მეთოდებით ებრძვიან ამ დაავადებას, რა მიღწევები და პრობლემები აქვთ, გვესაუბრება ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის კოორდინატორი აჭარაში და ფტიზიოპულმონოლოგიური დეპარტამენტის უფროსი* ***დიმიტრი ცეცხლაძე.***

**- ბატონო დიმიტრი, თუ შეიძლება, თავად დაავადებაზე თქვით ორიოდ სიტყვა და განმარტეთ, რატომ აღინიშნება მის წინააღმდეგ ბრძოლა 24 მარტს?**

- ტუბერკულოზი არის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს ტუბერკულოზის მიკობაქტერიები. დაავადება უძველესი დროიდანაა ცნობილი, მაგრამ მისი შესწავლა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, როდესაც უამრავი აღმოჩენა დაფიქსირდა. 1882 წლის 24 მარტს გერმანელმა მეცნიერმა რობერტ კოხმა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარადგინა ტუბერკულოზის გამომწვევი მიკობაქტერია. ამ დღიდან დაიწყო მისი მეცნიერული შესწავლა. აღმოჩენისთვის რობერტ კოხს 1905 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს, ხოლო თავად ბაქტერიას კოხი დაერქვა, თუმცა ახლა სახელი შეუცვალეს და მჟავაგამძლე ბაქტერია უწოდეს.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ არის მჟავაგამძლე, ძალიან დიდხანს ძლებს ყინვაში, თუმცა მზის სხივის პირდაპირი მოქმედებით მალე კვდება და მასშტაბურად ვეღარ ვრცელდება. გავრცელების წყაროა ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული, რომელიც დახველებით ან საუბრისას ჰაერში გამოყოფს მიკობაქტერიების უამრავ რაოდენობას, რომელთაც ჯანმრთელი ადამიანი თუ ჩაისუნთქავს, დაინფიცირდება. ერთ გადამდებ პაციენტს 10 ადამიანის დაავადება შეუძლია, რომელთაგან სამი ან ხუთი გახდება ავად, ანუ დააინფიცირებს მეტს, მაგრამ ტუბერკულოზი დაემართება ნაკლებს. ტუბერკულოზით დასნებოვნების ალბათობა განსაკუთრებით მაღალია დახურულ და ცუდად განიავებულ გარემოში ხანგრძლივად ყოფნის დროს. დასნებოვნება შესაძლებელია საკვების გზითაც, მაგალითად, ინფექცია ორგანიზმში შეიძლება შეიჭრას ტუბერკულოზური მიკობაქტერიების შემცველი აუდუღარი რძის ან რძის პროდუქტების მიღებისას. ასეთ შემთხვევაში ინფექციის წყაროს წარმოადგენს ტუბერკულოზით დაავადებული საქონელი. აქვე აღვნიშნავ, რომ ჭურჭლით ან სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით (პირსახოცით, თეთრეულით) ტუბერკულოზი არ გადადის. მის განვითარებაში გამოყოფენ 2 სტადიას: ინფიცირებისა და დაავადების. ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიები ზედა სასუნთქი გზებით (ცხვირის ღრუ, ხორხი, ტრაქეა, ბრონქები) ჩასუნთქულ ჰაერის ნაკადთან ერთად ფილტვის ალვეოლებს აღწევს. თუ ორგანიზმის დამცველობითი ძალები ძლიერია, ტუბერკულოზის მიკობაქტერიის წინააღმდეგ გამომუშავდება ანტისხეულები, რომლებიც ინფექციის გამომწვევის ირგვლივ სქელ კედელს ქმნიან და თრგუნავენ მის გამრავლებას: წარმოიქმნება ტუბერკულოზის პირველადი კერა. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ტუბერკულოზის ჩხირის ორგანიზმში მოხვედრის მიუხედავად, ინფიცირებულ ადამიანს არ აღენიშნება დაავადების გამოვლინება და არ წარმოადგენს ინფექციის ჯანმრთელ პირებზე გადაცემის წყაროს.

**- ბევრი თვლის, რომ ტუბერკულოზი მე-19 საუკუნეში დარჩა და ახლა აღარ იწვევს პრობლემებს.**

- ეს მცდარი წარმოდგენაა. მართალია, ახლა ტუბერკულოზი ინკურნება, მაგრამ რთულია ამ დიაგნოზის მატარებელი ადამიანების აღმოჩენა და მკურნალობა. ტუბერკულოზი ისევ არსებობს და მსოფლიოს მასშტაბით ისევ იწვევს სიკვდილს. ამას ვამბობ 5-6 წლის წინ მოწოდებული საერთაშორისო კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, ანუ წელიწადში დაახლოებით მილიონ რვაასი ათასი ავადმყოფი კვდებოდა, ხოლო რეგისტრირებული იყო ათი მილიონი. ამ დაავადებით სიკვდილიანობა მეხუთე ადგილზე იყო, შემდეგ გადმოინაცვლა უკან...

**- ახლა რა მდგომარეობაა?**

- საქართველოში ჩამოყალიბდა ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამა, რომელმაც მოაწესრიგა ამ დაავადების აღრიცხვა და მკურნალობა. მანამდე ფილტვის ან სხვა ფორმის ტუბერკულოზით დაავადებული რამდენიმე წელი იმყოფებოდა დისპანსერულ აღრიცხვაზე. თანდათან მოწესრიგდა სამედიცინო სერვისები და სრულიად სხვა ტიპის მკურნალობაზე გადავედით. ამჟამად ცნობილია ტუბერკულოზის ფილტვის და ფილტვგარეშე ფორმები.

**- თუ შეიძლება, განგვიმარტეთ.**

- ნებისმიერი ორგანოს ტუბერკულოზით დაავადებაა შესაძლებელი. განსაკუთრებით ყურადსაღები და საშიშია ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, ექსუდაციური პლევრიტი, მუცლის ღრუს, ძვალსახსართა სისტემის, სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი და სხვა, ანუ ტუბერკულოზური პროცესი უხშირესად ვითარდება ფილტვებში, მიუხედავად ამისა, იგი შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ სხვა ორგანოში. რაც შეეხება სიმპტომებს: პაციენტს აღენიშნება ზოგადი სისუსტე, უმადობა, ხველა, ზოგჯერ სისხლიანი ნახველი, სიცხე - 37 ან 37,5 გრადუსი, ტკივილები გულმკერდის არეში და სხვა.

**- თქვენ მოგვაწოდეთ საერთაშორისო მდგომარეობის ამსახველი ციფრები. რა სიტუაციაა საქართველოში?**

- საქართველოში ტუბერკულოზის შემთხვევების რაოდენობა ძალიან მაღალი იყო. ამ ეროვნული პროგრამის და ახალი მედიკამენტების საშუალებით, შევძელით დაავადების მკურნალობის გარკვეულ ჩარჩოში მოქცევა. პრობლემა აღმოჩნდა 2000 წლის შემდეგ დაწყებული რეზისტენტული ტუბერკულოზი. ავადმყოფებში, რომლებსაც ბოლომდე არ მიჰყავდათ მკურნალობა, არ იცავდნენ ჰიგიენას და ახლო კონტაქტში იყვნენ ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან (უფრო სოციალურად დაუცველ ფენას და რისკის ჯგუფებს ვგულისხმობთ - ნარკომანებს, ალკოჰოლის მომხმარებლებს), წარმოიშვა ეს რთული ფორმები. თუ ჩვეულებრივ ტუბერკულოზს ვმკურნალობდით 6-8 თვეს, რეზისტენტულს სჭირდებოდა - 2 წლამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში პაციენტს ყოველდღე უნდა მიეღო წამალი. ეს საკმაოდ მძიმე იყო. მდგომარეობა გაუმჯობესდა, როდესაც მივუერთდით საერთაშორისო პროგრამას. ახლა ჩვენთან უკვე ისე მკურნალობენ, როგორც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან, ბოლო 5 წელია, ქვეყანაში შემოვიდა 4 ახალი ძირითადი პრეპარატი. აქვე გავიხსენებ, რომ 1941 წელს ტუბერკულოზის სამკურნალოდ გამოიყენებოდა სტრეპტოციდი, რომელმაც მილიონობით ადამიანი იხსნა სიკვდილისგან. სხვა წამლები არ იყო ისეთი ეფექტური, ბოლოს რომ მოუღებდა ტუბერკულოზს.

**- რამდენი განიკურნა აჭარაში?**

- ჩვენ გვყავდა 50 ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი. ახალი მედიკამენტებით შევძელით ამ ციფრის 10-მდე დაყვანა. თქვენ წარმოიდგინეთ, გამოჯანმრთელდნენ ის პაციენტები, წლების განმავლობაში უშედეგოდ რომ მკურნალობდნენ და ქრონიკულად ითვლებოდნენ.

**- რამდენხნიანია მკურნალობა?**

- დაავადების შემთხვევაში, მკურნალობა ორ ფაზას მოიცავს: ინტენსიურსა და გაგრძელებითს. მკურნალობის ინტენსიური ფაზა დაახლოებით 2-3 თვეს, ხოლო მთლიანი კურსი საშუალოდ 6-9 თვეს მოიცავს. მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა მკურნალობა დანიშნულების შესაბამისად, თანმიმდევრულად, უწყვეტად და ზუსტად ჩაიტაროს. პაციენტისა და ექიმის ოპტიმალური თანამშრომლობის გარეშე საუკეთესო მედიკამენტების გამოყენებაც კი სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. როდესაც ხდება ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების არარეგულარული მიღება ან მკურნალობის ვადაზე ადრე შეწყვეტა, შეიძლება განვითარდეს ეგრეთ წოდებული რეზისტენტული ტუბერკულოზი, დაავადების მედიკამენტებისადმი გამძლე ფორმა. პრობლემა ისაა, რომ ასეთი ტიპის დაავადების განკურნება გაცილებით რთულია, მაგრამ - შესაძლებელი. აქვე აღვნიშნავ, რომ ტუბერკულოზის პროგრამა ითვალისწინებს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ტუბერკულოზის დისპანსერის ფუნქციონირებას, სადაც მუშაობენ კვალიფიციური, სერტიფიცირებული ექიმები. იქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ ადგილზე, უფასოდ ჩაიტარონ კვლევები ამ დაავადებაზე ეჭვმიტანილებმა. კვლევაში შედის: გულ-მკერდის რენტგენოგრაფია, სისხლის საერთო და ნახველის ანალიზი. ბათუმში მოქმედებს ფიზიოპულმონოლოგიური დისპანსერი, რადგან ტუბერკულოზის საავადმყოფო გაერთიანდა ინფექციურთან და საერთო ქუდქვეშ მოვექეცით. ამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ტუბერკულოზი დაუდგინდა: 2017 წელს - 385 ადამიანს, 2018-ში - 264-ს, 2019-ში - 270-ს, 2020-ში - 233-ს, 2021 წელს კი 227-ს, ანუ კლების დინამიკა გვაქვს. სტაციონარში, ბოლო 5 წლის მონაცემებით, 2017 წელს 200 პაციენტმა იმკურნალა, 2018-ში - 167-მა, 2019-ში - 128-მ, 2020-ში - 102-მა და 2021-ში - 101-მა. ეროვნული პროგრამის მიზანია, 2030 წლისთვის დავამარცხოთ ტუბერკულოზი.

**- რამდენად ხართ მომარაგებული საჭირო მედიკამენტებით?**

- ძალიან კარგად გვამარაგებენ. 1995 წლის შემდეგ, როდესაც ეროვნული პროგრამა ჩამოყალიბდა, არ მახსოვს ტუბერკულოზის სამკურნალო პრეპარატების მოწოდებაში წყვეტა. ცენტრიდან დროულად გვაწვდიან წამლებს როგორც რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზის, ისე სენსიტიური ფორმის სამკურნალოდ. ასევე შემოვიღეთ მკურნალობის წამახალისებელი ღონისძიებები. კერძოდ, თუკი ყოველდღიურად ღებულობს პაციენტი წამალს, 60 ლარს ვაძლევთ, ხოლო მკურნალობის დასრულებისას - 100 ლარს. რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობისას - ყოველთვიურად ვურიცხავთ 100 ლარს. ცხადია, წამალი ყოველდღე უნდა დალიოს.

**- თუ არ დალია?**

- ამას აკონტროლებს ვიდეოთვალი, გამყოლობის კონსულტანტი აწვდის წამალს და აღრიცხვასაც აწარმოებს. მათ ტელეფონებიც დავურიგეთ, კონტროლი ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო. მანძილის მიუხედავად, თუკი პაციენტი ვერ მოდის, კონსულტანტი მიდის მასთან და აძლევს წამალს.

**- რატომ უჭირთ ასე ამ წამლის მიღება?**

- ზოგჯერ გვერდითი მოვლენები აღენიშნებათ - გულის რევა, თავის ტკივილები, დიარეა. ექიმი ადგენს, დროის რომელ მონაკვეთშია უკეთესი კონკრეტული პაციენტისთვის წამლის მიღება, მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავს. თბილისში მოქმედებს კომიტეტი, რომელიც შეისწავლის და განიხილავს ამ გვერდით მოვლენებს. პაციენტს ან უჩერებენ მკურნალობას, ან უცვლიან წამალს. სტრატეგიის ქვაკუთხედია მისი წარმოშობის საფუძველი - DOT ანუ მოკლევადიანი ქიმიოთერაპია უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. საერთაშორისო რეკომენდაციების მიხედვით, DOTs და რეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში, DOTs პლუს სტრატეგია გამართლებულია და ეფექტური სამედიცინო და ეკონომიკური თვალსაზრისით, რის გამოც იგი მსოფლიოს ასობით ქვეყანაში საფუძვლად დაედო ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამებს. ინფიცირებულთა უმრავლესობას არ უვითარდება აქტიური ტუბერკულოზი, მხოლოდ შემთხვევათა ათი პროცენტია დაფიქსირებული, როცა ტუბერკულოზის მიკობაქტერიით ინფიცირებულ ადამიანს დაავადება განუვითარდა. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ძალიან გვეხმარება „პაციენტთა კავშირი“, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდნენ ყოფილი პაციენტები. მათ ზუსტად იციან, როგორ დააკვალიანონ ადამიანები, რითი დაეხმარონ და სხვა.

**- ბატონო დიმიტრი, შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ, რომ თქვენს დისპანსერში აქამდე არ ჩატარებულა რემონტი...**

- ეს მართლაც მტკივნეული საკითხია. 50 წელია, რაც აქ ვმუშაობ. უმაღლესი კატეგორიის ექიმები და სამედიცინო პერსონალი გვყავს, საავადმყოფოს ხელმძღვანელობა ყოველმხრივ გვეხმარება, რამდენჯერმე ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, მაგრამ შენობა ძალიან დიდი და ძველია, საჭიროებს ძირადღირებულ რესტავრაციას, რაც დიდ სახსრებს მოითხოვს. ურთულეს ვითარებაში ვართ, კედლები დაზიანებულია, სტაციონარში წყალი ჩამოდის, ვერ ვუთავდებით წვრილ რემონტს. გათბობა, სახურავი, კედლები... კაპიტალური რემონტი გვჭირდება, ყველაფერი თავიდანაა გასაკეთებელი... ალბათ, აჯობებს, სხვა შენობაში გადაგვიყვანონ ან არსებული ნაგებობის ნახევარი მაინც მოწესრიგდეს, თორემ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. 1930 წელს აშენდა ეს შენობა, ლამის 100 წლისაა და... აღარ დაადგა საშველი. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო აჭარის მთავრობას: უმორჩილესად გთხოვთ, მოგვხედეთ. ძალიან ბევრი გაკეთდა სამედიცინო სფეროში, სასიკეთო ძვრები აშკარაა. ალბათ, მხოლოდ ჩვენ ვართ ასეთ პირობებში, მსგავსი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აღარც დარჩა. ექიმებს რცხვენიათ პაციენტების, არადა, უდიდეს საქმეს ვაკეთებთ ყველა ერთად და იმედი გვაქვს, მომავალშიც გავაკეთებთ.

> ***„ბათუმში მოქმედებს ფიზიოპულმონოლოგიური დისპანსერი, რადგან ტუბერკულოზის საავადმყოფო გაერთიანდა ინფექციურთან და საერთო ქუდქვეშ მოვექეცით. ამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ტუბერკულოზი დაუდგინდა: 2017 წელს - 385 ადამიანს, 2018-ში - 264-ს, 2019-ში - 270-ს, 2020-ში - 233-ს, 2021 წელს კი 227-ს, ანუ კლების დინამიკა გვაქვს***

## შეხვედრა ნატოს წარმომადგენელთან



საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია დაზვერვისა და უსაფრთხოების სფეროში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე დევიდ კეტლერს შეხვდა. ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.ამავე ინფორმაციით, კომიტეტის თავმჯდომარემ ალიანსის წარომადგენელს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. „მხარეებმა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ ომზე ისაუბრეს. განიხილეს საქართველოსა და რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევები, საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. ხაზი გაესვა საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების და საფრთხეების სრული სპექტრის საპასუხოდ ეროვნული მედეგობის გაძლიერების მნიშვნელობას. ირაკლი ბერაიამ სტუმართან საუბარში ხაზი გაუსვა საქართველოს ალიანსში გაწევრების შესახებ გადაწყვეტილების დაჩქარების საჭიროებასა და აუცილებლობას. შეხვედრას კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე და თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ჩაჩიბაია ესწრებოდნენ“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ექარი 101 №28 (24.908) ხუთშაბათი, 24-25.03.2022



# შუახევიდან – სომალიში, სომალიდან – რუსეთში

## ვინ არის ექიმი, რომლის სახელიც წყაროს წყალს დაარქვეს?

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***შოთა დავითაძე** ექოსკანირებისა და კომპიუტერული ტომოგრაფიის ცნობილი სპეციალისტია. იგი საქართველოში ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ექოსკანირება შემოიტანა. წლების განმავლობაში მუშაობდა ბათუმის ონკოცენტრში, ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში და სამკურნალო რეაბილიტაციის ცენტრ „სანიტასში“. 1983 წელს საკანდიდატო, ხოლო 1999 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. არის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი. 20 მარტს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. მასთან საუბარი იმ დიდი გზის წარმოჩენაა, რომელიც დღემდე გამოიარა.*



**- ბატონო შოთა, მშობლიურმა გოგიეთმა რა როლი შეასრულა ცხოვრების გზაზე?**

- ჩემი სოფელი რაიონიდან და მით უფრო ქალაქიდან შორს მდებარეობს. ცხოვრების მკაცრმა პირობებმა დიდი როლი ითამაშა ჩემი მიზნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. სოფლის შვიდწლიანი სკოლის დასრულების შემდეგ, სწავლა შუახევის საშუალო სკოლაში გავაგრძელე. ექიმის სპეციალობა მე-8 კლასში ავირჩიე, რაც ყელ-ყურ-ცხვირის ექიმის საქციელმა და გულგრილობამ განაპირობა.

**- ნიჭმა სოფლელი ბიჭი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მიგიყვანათ. როგორ შეაფასებთ თქვენი ლექტორების ღვაწლს?**

- სამედიცინო ინსტიტუტის ყველა კათედრის გამგე გამოჩენილი პროფესორი და აკადემიკოსი იყო: გუგეშაშვილი, გვანცელაძე, ანთაძე, ცქიმანაური, კომახიძე, ფიფია, ვირსალაძე, ტატიშვილი, შუშანია, გიგინეიშვილი, ზურაბიშვილი, რუხაძე, მაისურაძე, ჩაჩავა, კობალაძე და სხვ. მესამე კურსამდე გინეკოლოგიის განხრით ვაპირებდი სწავლას, სათანადო ლიტერატურასაც ვეცნობოდი, შემდეგ ქირურგიამ გამიტაცა და საბოლოოდ, ზოგადი ქირურგიის განხრა ავირჩიე.

*„ იქ გავეცანი პირველად ულტრაბგერითი გამოკვლევის მეთოდს, რამაც სრულიად შეცვალა ჩემი შეხედულება სამედიცინო-დიაგნოსტიკისადმი, რომ იტყვიან, რევოლუცია მოახდინა ჩემში. სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდი და ვაკვირდებოდი ქირურგიული ჩარევის წინ პაციენტთა შინაგან ორგანოებსა და მათ პათოლოგიურ ცვლილებებს. ამის შემდეგ გადავწყვიტე ქირურგიული პროფესიის დაკავშირება ულტრაბგერითი გამოკვლევის მეთოდთან*

**- რა მოგონებები დაგიტოვათ შუბნის საუბნო საავადმყოფოში ექიმად მუშაობამ მეუღლე ნანი თავბერიძესთან ერთად?**

- აქ დამოუკიდებლად მუშაობის დიდი გამოცდილება მივიღე. შუბანი შუახევის რაიონის ცენტრიდან 27 კილომეტრით არის დაშორებული. ზამთარში თოვლის საფარი 3 მეტრს აჭარბებდა. იყო უგზოობა, უსინათლობა. ერთგული მეუღლის - ნანი თავბერიძის მორალური და პროფესიონალური მხარდაჭერით, სირთულეებს ვძლევდით, ნანი ჩემი კოლეგა და მარჯვენა ხელია მუშაობის დაწყების პირველი დღიდან დღემდე. ის მედდაა. მე და ჩემს მეუღლეს საავადმყოფოს თანამშრომლებთან ერთად, ქირურგიული, თერაპიული, გინეკოლოგიური, ინფექციური, ტრავმატოლოგიური, სტომატოლოგიური პაციენტების მკურნალობა გვიხდებოდა. უანგარო დახმარებას გვიწევდა შუახევის რაიონის მთავარი ექიმი, ქირურგი აკაკი ბერიძე.

**- სომალიში თქვენი მივლინება რამ განაპირობა?**

- შუბნის საუბნო საავადმყოფოში მუშაობის 3 წლის შემდეგ, თბილისში, ქირურგიის სამეცნიერო ინსტიტუტის კლინიკის ზოგად-ქირურგიულ განყოფილებაში გადავედით სამუშაოდ, აკადემიკოს კონსტანტინე (კოწია) ერისთავის შუამდგომლობით. ჩემი მეუღლე კი კლინიკის სისხლძარღვთა განყოფილების საოპერაციოს მთავარ ექთნად დანიშნეს. ზოგადქირურგიული განყოფილების პროფესორები: გიორგი ოდიშვილი, გიორგი იოსელიანი და რევაზ ბოკერია ყოველდღიურად ზრუნავდნენ ახალგაზრდა კადრების სამუშაო პროცესში ჩართვაზე. ხუთწლიანი მუშაობის გამოცდილება მქონდა ქირურგიაში: დამოუკიდებელი ოპერაციები, ღამის მორიგეობები და მრავალი სხვა. დილის კონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ საკავშირო ჯანდაცვის სამინისტრო ითხოვს ქირურგის საზღვარგარეთ მივლინებას. პირველმა მე გამოვთქვი თანხმობა, რაზედაც აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი დათანხმდა და მომცა შუამდგომლობა, გამევლო სათანადო კონსულტაციები საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროში. მოსამზადებლად მომეცა 7 თვე. ამ დროის ფარგლებში მოცემულ კითხვარზე პასუხი უნდა გამეცა საკავშირო ჯანმრთელობის სამინისტროში არსებული სპეციალური კომისიისთვის, ასევე, უნდა შემესწავლა იტალიური ენა. მოგეხსენებათ, მაშინ მკაცრად მიდიოდა პიროვნების შესწავლა, ჩემდა საბედნიეროდ, ყველა გამოცდა ჩავაბარე და მიმავლინეს აფრიკაში, სომალის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

**- რას გაიხსენებთ იმ სამწლიანი მივლინებიდან?**

- სომალიში მუშაობამ დიდი გამოცდილება შემძინა და აღებული ვალდებულებების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა გამიღრმავა. სომალის ფლორა და ფაუნა საოცრად მრავალფეროვანია, მე და ნანიმ საკუთარი თვალით ვიხილეთ ეს ყველაფერი, გავეცანით სომალელთა ცხოვრების დონეს, ადათ-წესებს და ქვეყნის შესაძლებლობებს. სომალიში იტალიური ენის, ასევე ფრანგული და ინგლისური ენების გაგონებაც არ სურთ, რადგან მათი მიწა-წყალი დაყოფილი ჰქონდათ ინგლისელებს, იტალიელებსა და ფრანგებს. დღესაც სომალის დიდი ქალაქი ჯიბუტი საფრანგეთის კოლონიად ითვლება. ღამის 12 საათამდე ვმეცადინეობდით და ვსწავლობდით სომალურ ენას. გავიცანი იტალიელი ექიმი ტარაბინა, რომელიც სრულიად ახალგაზრდა ჩავიდა სომალიში და უკვე 60 წლის იყო. სწორედ იქ გავეცანი პირველად ულტრაბგერითი გამოკვლევის მეთოდს, რამაც სრულიად შეცვალა ჩემი შეხედულება სამედიცინო-დიაგნოსტიკისადმი, რომ იტყვიან, რევოლუცია მოახდინა ჩემში. სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდი და ვაკვირდებოდი ქირურგიული ჩარევის წინ პაციენტთა შინაგან ორგანოებსა და მათ პათოლოგიურ ცვლილებებს. ამის შემდეგ გადავწყვიტე ქირურგიული პროფესიის დაკავშირება ულტრაბგერითი გამოკვლევის მეთოდთან. სამშობლოში დაბრუნებისთანავე, მოსკოვში მიმავლინეს ახალი მეთოდის ძირფესვიანად ათვისებისა და მისი გამოყენების შესასწავლად.

**- აფრიკა მოსკოვით და შემდეგ ტომსკით ჩაანაცვლეთ...**

- აფრიკიდან 1978 წლის თებერვალში დავბრუნდით. ჩვენი წარმატებული მუშაობის სანაცვლოდ, საელჩომ ავტომანქანა „ვოლგა-24“-ის ორდერით დაგვასაჩუქრა. იმავე წლის დეკემბერში მოსკოვში გავემგზავრე. მაშინ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, გამოკვლევის ექოსკანირების მეთოდი არ გამოიყენებოდა, ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ კრემლის მე-4 პოლიკლინიკაში, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი ატარებდა. იგი ჩემთან ერთად გადიოდა პრაქტიკულ მეცადინეობას პროფესორ იგორ სკორენსკისთან, რომელიც იყო საბჭოთა კავშირში ექოენცეფალოგრაფიის პიონერი და მუშაობდა მოსკოვის 50 საავადმყოფოში. აქ პროფესორ რევაზ ბოკერიას დახმარებით მოვხვდი. ჩემი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები სტეფან ბაბიჩევი და ბენუან ბრისკინი იყვნენ. სწორედ მათი გეგმაზომიერი ხელმძღვანელობით შედგა ჩემი დისერტაციის გეგმა, განისაზღვრა საჭირო გამოკვლევების კონტინგენტი, რომელშიც შედიოდა პაციენტების ამბულატორიული გამოკვლევა ნაადრევი დიაგნოსტიკის მიზნით. ამან გადამაწყვეტინა ბათუმში პაციენტების მიღება, რა თქმა უნდა, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ნებართვით. გამოკვლევები ტარდებოდა ქირურგიული კათედრის საზაფხულო არდადეგების პერიოდში, რაც გაგრძელდა 1980-1982 წლებში. ვცდილობდი, არ გამეცდინა არცერთი წამი და საკანდიდატო დისერტაცია მომემზადებინა განსაზღვრული პერიოდის ფარგლებში. ექოსკანირების მეთოდი არაინვაზიური გამოკვლევების სიაში შედიოდა და არ იყო გაერთიანებული რადიოლოგიასთან, რამაც შექმნა პრობლემა, თუ რომელი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმედგინა დისერტაცია. მოგვიანებით ჩემდა სასარგებლოდ გადაწყდა საკითხი და დისერტაცია რენტგენოლოგიური და ქირურგიული გაერთიანების სხდომაზე დავიცავი. ამის შემდეგ, ქალაქ ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტი გახდა ჩემი მივლინების არეალი. აკადემიკოსი ალპეროვიჩი ქალაქის 3 საავადმყოფოს ქირურგიული კათედრის გამგე იყო, რომელიც ჩემი სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ. აღნიშნულ კათედრაზე შვიდი წელი ვმუშაობდი უფროს მეცნიერ მუშაკად.

**- რა საკითხებს შეიცავს თქვენი სამედიცინო ნაშრომები?**

- ეს არის ქირურგიისა და ექოსკანირების საკითხები, კერძოდ, ექოსკანირება ოპერაციის წინა პერიოდში დანარჩენ გამოკვლევებთან ერთობლიობაში. ექოსკანირების მონაცემების შეფასება ხდებოდა პრეპარატის პათოანატომიური კვლევების მონაცემების მიხედვით. რაც შეეხება მონოგრაფიას, მასში განმარტებულია, თუ რა გზით შეიძლება ექოსკანირების დროს შეცდომების თავიდან აცილება.

**- ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის დარგში პირველი ქართველი ექიმი ხართ. ეს პროფესია მშობლიურ ქვეყანას, აჭარას კეთილსინდისიერად მოახმარეთ...**

- არასდროს მიფიქრია ანგარებაზე, ჩემთვის მთავარი არასდროს ყოფილა გამოკვლევის საფასური. სამედიცინო მომსახურებაზე ოფიციალურად ფასის დადება კი ძნელი აღმოჩნდა. ფაქტობრივად, აიკრძალა უფასო სამედიცინო დახმარება, ყოველ მანიპულაციას ფასი დაედო, მათ შორის, ექოსკოპიურ გამოკვლევებსაც. თუმცა, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ისევ ვაგრძელებდი მუშაობას უფასოდ ან ნახევარ ფასში. მე და ჩემმა მეუღლემ ჩვენი მოღვაწეობის ორი მესამედი თბილისში, ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გავატარეთ. 1960 წლიდან თბილისში ვცხოვრობთ. ჩვენი ბინის კარი ყოველთვის ღია იყო და არის ჩემი მშობლიური აჭარის მცხოვრებთათვის, არ ყოფილა განსხვავება ნათესავებსა და უცნობებს შორის, როცა ჩვენგან სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდათ. ბევრი ჩვენთანაც კი ცხოვრობდა, სანამ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსწორდებოდა. კოლეგებმა იცოდნენ, თუ როგორი პატივისცემით უნდა მიეღოთ მშობლიური აჭარიდან ჩამოსული პაციენტები ჩემი მივლინებაში ყოფნის შემთხვევაში. მადლობა მათ ამისათვის.

**- დაბადებიდან 80 და სამედიცინო მოღვაწეობის 55 წელი უკან დარჩა. დიდი გამოცდილების მქონე მკურნალი ახალგაზრდებსაც აკვალიანებთ?**

- ყოველთვის ვცდილობ უმცროს კოლეგებს გავუზიარო ჩემი როგორც ცხოვრებისეული, ისე სამედიცინო პრაქტიკით მიღებული გამოცდილება. მკურნალმა ყოველთვის გულისყურით უნდა მოუსმინოს პაციენტს, დაწვრილებით გააანალიზოს მისი მდგომარეობა და აუჩქარებლად გამოიტანოს შესაბამისი დასკვნა არსებულ პათოლოგიაზე დაყრდნობით. ამის შემდეგ მოიტანს გაცემული დანიშნულება დადებით შედეგს. როგორც იტყვიან, „სწორი დიაგნოზი მკურნალობის ნახევარზე მეტია“. წარმატებული ექიმი რომ იყო, ამისთვის საჭიროა თავმდაბლობა, ნებისყოფა, არ უნდა ითაკილო რჩევა-დარიგება გამოცდილი კოლეგებისგან, ამით დამცირებულად არ უნდა ჩათვალო თავი. არ უნდა გაიმეორო ადრე დაშვებული შეცდომა, თვალ-ყური ადევნო ყოველდღიურ პროგრესს მედიცინაში - ამას ვასწავლი ახალგაზრდებს. მონოგრაფიას როცა ვწერდი, ვფიქრობდი, გავუადვილებდი დამწყებ კოლეგებს ექოდიაგნოსტიკის ათვისებას. იგი ისე შევადგინე, რომ ადვილად გასაგები ყოფილიყო მომავალი ექიმებისთვის. ამჟამად, მონოგრაფიას ვთარგმნი ქართულ ენაზე. მინდა შევავსო შემდგომ წლებში დაგროვილი მასალებითაც... ვეცნობი თანამედროვე ლიტერატურას და ვამჩნევ, რომ საკმაოდ რთულია მისი აღქმა დამწყები სპეციალისტისთვის, თუმცა ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდის. მიხარია, რომ დიაგნოსტიკის ექოსკანირების მეთოდი ყოველი მიმართულებით განვითარებულია. მრავალი მოსწავლე მყავდა და მყავს ახლაც. რამდენიმე მათგანს დავასახელებ: ქეთინო ვარდოსანიძე, რომელიც ამჟამად თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში საქმიანობს, ქეთინო წულუკიძე - აჭარის ონკოცენტრში, ზურიკო ხაჟალია - თბილისში, ქირურგიის ინსტიტუტის კლინიკაში და ჩემი შვილი ნინო დავითაძე. ეს იმათი ჩამონათვალია, ვის საქმიანობაზეც მაქვს ცნობები, დანარჩენები ალბათ, მაპატიებენ, რადგან არ მაქვს ინფორმაცია მათი ადგილ-სამყოფელის შესახებ.

**- ურეკში, საკუთარი მარჯვენით მოწყობილ ეზოში თავს როგორ გრძნობთ?**

- ურეკის კარ-მიდამოს საინტერესო ისტორია აქვს. ჩემს ნანის „პატარა“ სიურპრიზი მოვუწყვე - სახლის საძირკვლის ჩაყრის შემდეგ ვუამბე ამის შესახებ... ვფიქრობდი, წელიწადში რამდენიმე თვე აქ გაგვეტარებინა მთელ ოჯახს და... ასე შემოვრჩით. ფიზიკურ მუშაობას ბავშვობიდან ვართ შეჩვეულები მე და ჩემი ნანი. ეზოში ყველა ჯიშის ხეხილი გვაქვს მოშენებული: მრავალწლიანი, ერთწლიანი და სხვა... თავისუფალ დროს ეზოს მოვლა-პატრონობით ვართ დაკავებული. ყოველწამს შვილების, შვილიშვილების, ნათესავების მოლოდინში ვართ, მზად ვართ, სიამოვნებით ვუმასპინძლოთ სტუმრებს. დიდ ქალაქებში ცხოვრებით დაღლილები აქ შვებას ვნახულობთ.

**- ამ კუთხეში როგორ გაჩნდა „ექიმის წყარო“?**

- როდესაც მომავალი საცხოვრებელი ტერიტორია მოვინახულე და მეზობლებს გავეცანი, ადგილობრივი მოსახლეობის დიდ პრობლემას - უწყლობას წავაწყდი. ივლისის პაპანაქებაში ორი დღე ახლო-მახლო ტყე-ღრეში სიარულს მოვანდომე და წყაროს წყალი აღმოვაჩინე, სახელდახელოდ გამოვთალე ხის ღარი და ჩავდგი, პირველ რიგში, წყლის პრობლემა მოვაგვარე. დიდი დახმარება გამიწიეს მეგობრებმა, ნათესავებმა, მეზობლებმა და ორი კილომეტრიდან ანკარა წყაროს წყალი გამოვიყვანეთ. მოგვიანებით, მეორე წყაროც დავამატეთ და ამჟამად, მეზობლებთან ერთად, უწყლობას არ ვუჩივით. შოთას წყარო დაურქმევიათ - პატივისცემის ნიშნად.

იხ. მე-7 გვ.

# „ეროვნულობა სხვაა და რწმენა – სხვა. სამწუხაროდ, ეს ბევრს ეშლება“

*მიხეილ გელაძე გოდერძის უღელტეხილს მიბჯენილი ისტორიული სოფლის დანისპარაულის (დარისპანაული) მკვიდრია. წლები შეალია მომავალი თაობის აღზრდას. 15 წელია სრულიად საქართველოს სამუფთო სამმართველოს გამომცემლობის მთავარი რედაქტორია. მისი ლექსები წლების განმავლობაში პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა. ორი რომანის - „სიყვარულიდან სიყვარულამდე“ და „ნიგალის ათინათი“ ავტორია. უცხო ენიდან ქართულად ნათარგმნი აქვს რამდენიმე წიგნი, გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული - „ჩემით იწყება საქართველო“, „ჩემი ლექსის ალმური“. 65 წლის იუბილეს ახალი პოეტური კრებულით შეხვდა.* ***მიხეილ გელაძე*** *გაზეთის სტუმარია*

**- ბატონო მიხეილ, რა ასაკში დაწერეთ პირველი ლექსი?**

- პირველი ლექსი მეცხრე კლასში დავწერე, მაშინ ხულოს საშუალო სკოლა-ინტერნატში ვსწავლობდი. დირექტორმა, შემდგომში ადგილობრივი გაზეთის რედაქტორმა, ცხონებულმა მემედ ჯორბენაძემ კაბინეტში დამიბარა და მითხრა: აჭარის სკოლების მხატვრული კოლექტივების დათვალიერება შენ უნდა გახსნა, ლექსი დაწერო ხულოზე და ისე კარგად წაიკითხო, ყველამ ტაში დაგიკრასო. ლექსი რამდენიმე დღეში მზად მქონდა, მაგრამ მისი წაკითხვა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე დაწერა. ბათუმის შოთა რუსთაველის ინსტიტუტიდან პედაგოგიკის ლექტორი, ცნობილი მეცნიერი, ცხონებული ალექსანდრე გობრონიძე საგანგებოდ მოიწვიეს და ერთი კვირა მხატვრულ კითხვაში მავარჯიშებდა.

**- ვინ იყო თქვენი იდეალი?**

- ვაჟა-ფშაველა. მისი ბუნება და სოფლური ყოფა მამაჩემის ცხოვრებას ჰგავდა. დღესაც მგონია, ვაჟა ყოველ ნაბიჯზე დამყვება და როგორც მამა, შემაგონებს და მაიმედებს.

**- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრეთ. ვის უმადლით, რომ უცხო ენას ასე კარგად დაეუფლეთ?**

- ინსტიტუტში მეშვიდე მცდელობაზე ჩავირიცხე და ისეთი ამბები გამოვიარე, ერთი წიგნი დაიწერება. ძალიან ძლიერი ლექტორ-მასწავლებლები მყავდა. ესენი იყვნენ: მოედინ ფარტენაძე, სერაფიმა ტყებუჩავა, ვერა ნაგირნაია, პავლე ჯორბენაძე, ნოდარ ჭყონია, ლევან ხალვაში, მურად ჩავლეიშვილი, იური ბიბილეიშვილი. მათგან განსაკუთრებით გამოვყოფდი ვერა ნაგირნაიას, რომელიც თანამედროვე რუსულ ენას მიკითხავდა. მკაცრი, მომთხოვნი და ყურადღებიანი იყო, დღესაც ძალიან მადლიერი ვარ მისი. პროფესორ-მასწავლებელთაგან კიდევ თავი დამამახსოვრა ცხონებულმა მოედინ ფარტენაძემ. მეოთხე კურსზე მან დამავალა საკურსო თემის დამუშავება. ლიტერატურა საკუთარი ბიბლიოთეკიდან თავად მომიტანა. თემა ზღვა მასალას მოიცავდა. ეს იყო „ინდოევროპული და იბერიულ-კავკასიური ენები მსოფლიო ენათა ოჯახში ქართულ და ბასკურ ენებთან ერთად“. 2-3 თვეში დავამუშავე და წარმატებით („ფრიადი“ შეფასებით) დავიცავი. ბატონმა მოედინმა მოისურვა ჩემი კათედრაზე დატოვება, შემომთავაზა, სწავლა ასპირანტურაში გამეგრძელებინა და ეს თემა საკანდიდატო ნაშრომად გამომეყენებინა, მაგრამ დედა მყავდა ცუდად, რომელიც მალე გარდამეცვალა და მამამ მთხოვა, ახლა სოფელს მიხედეო.



**- პედაგოგიური საქმიანობა მალე მიატოვეთ, რა იყო ამის მიზეზი?**

- უხელფასობა. ისეთი მწირი ანაზღაურება მქონდა, თქმაც კი მრცხვენია. ბოლო წლებში არასპეციალობით ვმუშაობდი და მახსოვს, ხელფასი 5 ლარი მერგო... სოფლის მასწავლებელი რომ გლეხთან მიხვალ ფულის სასესხებლად, იქ ავტორიტეტიც გეკარგება და სკოლაში მუშაობის ინტერესიც.

**- სამუფთო სამმართველოს გამომცემლობის მთავარი რედაქტორის საქმიანობის არეალი რას მოიცავს?**

- უცხოური ენებიდან მშობლიურ (ქართულ) ენაზე ნათარგმნი ლიტერატურის რედაქტირებას. ესაა, ფილოლოგიური თვალსაზრისით, სერიოზული პასუხისმგებლობა. ძირითადად ითარგმნება რელიგიურ-კლასიკური ლიტერატურა, ჟურნალები, ბროშურები, გამოდის გაზეთი.

**- რამდენ ენას ფლობთ?**

- მშობლიურის გარდა, სამს - რუსულს, გერმანულს და თურქულს, მაგრამ მე მხოლოდ რუსულიდან ქართულად და პირიქით ვთარგმნი.

**- რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნა „რუსეთუმეობას“ არ ნიშნავს, თუმცა...**

- მე არასდროს ვაიგივებ რუსი ხალხის კულტურას, ლიტერატურას და ხელოვნებას პოლიტიკასთან. დღევანდელი „ცუდი პოლიტიკოსების“ სასტიკი გადაწყვეტილებების გამო, მრცხვენია ჩემს ყოფილ მოსწავლეებთან შეხვედრა, მე ხომ მათ რუსულ ენას და ლიტერატურას ვასწავლიდი. ყოველთვის სასტიკად ვგმობდი და ვგმობ ოკუპანტების ქმედებებს, რასაც მეორენაირად სხვისი ტერიტორიების მიტაცება ჰქვია.

**- წიგნის გამოცემა ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვინ დაგეხმარათ?**

- რა თქმა უნდა, - ქველმოქმედები, მე ბევრი მათგანი მიცნობს. მიხარია, რომ მათ უყვართ ჩემი პოეზია. ზოგი თვითონ მთავაზობს ფინანსურ დახმარებას, რისთვისაც ვემადლიერები, მაგრამ მათ დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებ.

**- თქვენი შემოქმედებიდან რომელ ლექსს გამოარჩევდით?**

- ლექსი ჩემი სულისა და გულის ნაწილია, მათგან ერთის გამორჩევა ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც გავიხსენებ „ფრიდონ ხალვაშს“, რომელიც 2005 წლის 5 დეკემბერს, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში პოეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე წავიკითხე. სამჯერ დამაბრუნეს სცენაზე, ისეთი ოვაცია იყო. ლექსი საკმაოდ დიდია და აქ მხოლოდ ბოლო სტროფს მოვიშველიებ:

***„ისევ გახედე შენს ჭოროხს, მთებზე***
***გადაშლილ ცხვარს,***
***ისევ გაშალე აფრები, სდიე რითმების***
***ცვარს,***
***ისევ მიზანში ესროლე „მაჭახელათი“***
***ყვავს,***
***„ხარობდეს საქართველოო“ - ფრიდონ***
***ხალვაში ჰყავს“.***

**- რომელ პერიოდს გამოყოფთ თქვენი შემოქმედებიდან?**

- 50 წლის შემდგომს, როცა უფრო მეტი დრო მომეცა ლექსების წერისთვის.

**- ფრაზა, რომელიც თქვენს შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს?**

- „მიყვარხარ და ეს მალაპარაკებს“, „სხვა საქართველოს ვერ ნახავთ ვერსად“...

**- კრებულში შეტანილი რამდენიმე ლექსი ღირსეულ, ქვეყნისა და კუთხის მოამაგე პიროვნებებს ეძღვნება. ადამიანი, რომელმაც თქვენს საქმიანობას გზა გაუკაფა?**

- ეს არის ჩემი მასწავლებელი, წუთისოფლიდან ნაადრევად წასული თამარ ბარათაშვილი, რომელსაც ლექსით მოვეფერე. ლექსები მაქვს მიძღვნილი ცნობილი პოეტებისთვის, სპორტსმენებისთვის. „ცისო“ (ცისანა ანთაძეს), „ბელა ქებურიას“, „ტარიელ ხარხელაურს“, სპორტსმენებზე - „ლუხუმ ჩხვიმიანს“, „შმაგი ბოლქვაძეს“, „ლაშა გობაძეს“, „ლერი აბულაძეს“, „ლაშა ბექაურს“.

**- თქვენს 65 წლის იუბილეს ტრაგედიაც დაერთო - წუთისოფლიდან წავიდა ცხოვრების თანამოდარდე. მეუღლის შესახებ რას იტყვით?**

- ეს ყველაზე მტკივნეული თემაა ჩემს ბიოგრაფიაში. ძალიან კეთილი მეუღლე მყავდა - ქეთევან შამანაძე. მან წაიღო ჩემი გულის ნახევარი. ღირსეული შვილები და შვილიშვილები დამიზარდა, დიდი ამაგი დამდო. ის ჩემთვის ქალის იდეალი იყო, დედობის და ქართველქალობის ნიმუში. ვაპირებ მასზე პოემის დაწერას.

**- სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი გიდგას გვერდით. რაა მთავარი, ღირსეული მამა, ბაბუა რომ იყოთ?**

- ღირსეული და ღირებული ცხოვრება, ადამიანური რესურსების სრული მობილიზება, რომ მათ ხიდად გაუდო, გზა მოუსარკო, მანათობელ შუქურად მოევლინო.

**- სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიმ სოფელ დანისპარაულს ახალი სიცოცხლე შემატა.**

- კურორტ გოდერძის გახსნამ ჩემი სოფელი - დანისპარაული, მიგრაციისგან იხსნა. მრავალი ახალგაზრდა დასაქმდა, საოჯახო სასტუმროები გახსნეს და სული მოითქვეს. ღმერთს მადლობა, დღეს ჩემს სოფელში აღარავის უჭირს. გოდერძის დიდი პერსპექტივა აქვს. მასზე სარეკლამო ნოველაც დავწერე - „გოდერძის მარგალიტი“, რომელმაც მკითხველის მოწონება დაიმსახურა. დანისპარაულსაც ბევრი ლექსი მივუძღვენი. მხატვრულად რომ გითხრათ - „სოფელი დანისპარაული ჩემი შემოქმედების მორთულ-მოკაზმული დედოფალია, ხულო გოდერძი - მისი მარგალიტებით მოოჭვილი გვირგვინი“.

> ***„კურორტ გოდერძის გახსნამ ჩემი სოფელი - დანისპარაული, მიგრაციისგან იხსნა. მრავალი ახალგაზრდა დასაქმდა, საოჯახო სასტუმროები გახსნეს და სული მოითქვეს. ღმერთს მადლობა, დღეს ჩემს სოფელში აღარავის უჭირს. გოდერძის დიდი პერსპექტივა აქვს. მასზე სარეკლამო ნოველაც დავწერე - „გოდერძის მარგალიტი“, რომელმაც მკითხველის მოწონება დაიმსახურა***

**- საუკუნეების განმავლობაში ნაპატრონებ წინაპრების კერას რა ბედი ელის?**

- ბუნებით ოპტიმისტი ვარ, უკეთესი მომავლის იმედი ყოველთვის მაქვს. მჯერა, ჩემს სამშობლოში „ახალი დავითი“ დაიბადება და წინაპართ კერა არ ჩაქრება, ბუდე-ბალავარი არ მოიშლება, კალო ისევ გაილეწება და ბეღლებს ხვავი, ბარაქა აავსებს, ყოველ ქართულ სოფელში მამალი დაიყივლებს და ბუხრის საკვამურს ბოლი აუვა. ღმერთმა ნუ ქნას, „სოფელი სოფელს გასძახოდეს - დაილიე თუ ხარო“.

**- თუ გიცდიათ უცხოელი პოეტების ლექსების ქართულ ენაზე თარგმნა?**

- როგორ არა, პუშკინის ლექსი „მიბაძვა ყურანს“ ვთარგმნე, რაც ძალიან კარგად გამომივიდა. წიგნში „ყურანის საოცრებები“ დაიბეჭდა. არცკი ვიცოდი, თუ მას ასეთი, სულიერებით მდიდარი ლექსი ჰქონდა დაწერილი.

**- რუსული შოვინიზმი, იმპერიალისტური ზრახვები ერთია, რუსული კულტურა და შემოქმედება - მეორე...**

- ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ პუშკინის ძეგლს კიევში რუსული ბომბი გაბზარავდა, ოდესაში, საზღვაო ხომალდიდან ნასროლი ნაღმი მის ქანდაკებას დააზიანებდა. არ ვიცი, ვინ და როგორ ამოიღებს რუსული ლიტერატურის ისტორიიდან მე-19 საუკუნეს, როგორც პუშკინის „ოქროს საუკუნეს“. როგორ ვიფიქრებდი, თუ რუსეთსა და უკრაინას შორის ასეთი სასტიკი ომი გაჩაღდებოდა, ქალაქები ხარკოვი, მარიუპოლი, ხერსონი სირიულ ქალაქ ალეპოს დაემსგავსებოდა. ამ ბოლოს სწორედ რუსეთ-უკრაინის ომის თემაზე დავწერე პატარა ლექსი, ქალაქ სუმში 7 წლის გოგონა ძლიერმა აფეთქებამ იმსხვერპლა და სისხლიდან დაცლილმა მამის ხელებში დალია სული... რუსული კულტურა და შემოქმედება უკვდავია. მას პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს... მე მაინც მჯერა, რუსეთის ინტელიგენციის, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები, შემოქმედი ადამიანები თავის სიტყვას უფრო ხმამაღლა იტყვიან და საღი აზრი გაიმარჯვებს.

**- ლექსების ახალი კრებული ჟანრობრივად მრავალფეროვანია...**

- მე პატრიოტული ლირიკით ვცოცხლობ და მის გარეშე ვერ ვძლებ, ეს ჩემი გენეტიკური კოდია, თუმცა ჟანრების სიმრავლესაც არ ვუჩივი. მირჩევნია ცოტა დავწერო და ჰქონდეს ლიტერატურული ღირებულება, ვიდრე ბევრი და მდარე. ზღვა ემოცია დამეუფლა, როცა ლექსი „ხულო“ დავწერე და სოციალურ ქსელში ათასზე მეტმა ადამიანმა გააზიარა, ზოგმა „ხულოს ჰიმნიც“ კი უწოდა.

**- ტოლერანტობასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

- მე ბუნებით ტოლერანტი და შემწყნარებელი ვარ. თუკი ადამიანი მორწმუნეა, მას ეს პრობლემა არ აქვს. მსოფლიოში ანალოგი არ აქვს თბილისის „ჯუმა მეჩეთს“, რომელსაც ორი წინამძღოლი წარმართავს და სუნიტი და შიიტი მრევლი ლოცვას ერთ სახურავქვეშ აღავლენს. ან იმ მაგალითის დავიწყება როგორ შეიძლება, როცა გასულ საუკუნეში აჭარის მთიანეთიდან თბილისში ჩასულმა უმაღლესმა სასულიერო პირმა მემედ ბოლქვაძემ შუადღის ლოცვა სიონის ტაძარში აღავლინა. ტოლერანტობა ცალმხრივი არ უნდა იყოს, ეს ცნება საზოგადოების ყველა ფენასა და წევრს უნდა ესადაგებოდეს.

**- თქვენს კუთხეს დღესაც არ აკლია პატრიოტი ღვთისმსახურები. ისლამის აღიარება ეროვნულობაზე უარის თქმას არ ნიშნავს...**

- სავსებით გეთანხმებით, ეროვნულობა სხვაა და რწმენა - სხვა. სამწუხაროდ, ეს ბევრს ეშლება, როცა უხსნი, ღიზიანდება. საკმარისია წაიკითხო ფრიდონ ხალვაშის რომანი „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“ და ამ საკითხზე პასუხიც გაცემულია.

**- რამდენად იცავთ თქვენს გამოცემებში სალიტერატურო ენის ნორმებს?**

- მაქსიმალურად, ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაა. პასუხისმგებლობა დიდი მაქვს და ყოველთვის ვცდილობ, უცხოური ენებიდან ნათარგმნი ტექსტები ქართველ მკითხველს ლიტერატურული ნორმების დაცვით მიეწოდოს. სამწუხაროდ, დღეს პროფესიონალი თარჯიმნების ნაკლებობაა და ამ საქმეს ერთი ენის ცოდნა ნამდვილად არ ყოფნის. ამიტომ ჩემი საქმიანობა საკმაოდ შრომატევადი და საინტერესოა.

# საინფორმაციო შეხვედრა – შუახევში

***ორი წელია დაბა შუახევში შშმ პირთა დღის ცენტრი მოქმედებს, რომელიც საფრანგეთის მთავრობის მხარდაჭერით გაიხსნა. მისი დონორია არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰანდი კაპი“. ცენტრს შარშან საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი სტუმრობდა. ამჯერად მისი მუშაობით სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა***

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ლიკა ბაციკაძემ და ნათია ბერაძემ საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. ცენტრის შესახებ მათ ინფორმაცია მიაწოდეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ, შშმ პირთა დღის ცენტრის სპეციალისტმა ნატო დარჩიძემ, ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის დირექტორმა მაია ქათამაძემ, შუახევის რესურსცენტრის წამყვანმა სპეციალისტმა ლადო თავდგირიძემ, ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორმა ნათელა გოგიტიძემ.

შუახევის მუნიციპიტეტის მერიაში, შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებთან და შშმ პირთა საბჭოს წევრებთან საინფორმაციო შეხვედრაზე, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სახალხო დამცველის მანდატზე, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციაზე, შშმ პირთა უფლებების შესახებ, საქართველოს კანონის მოთხოვნებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ამ პირთა ჩართულობაზე, მუნიციპალურ დონეზე არსებულ გამოწვევებსა და მათი დაძლევის გზებზე. შეხვედრა საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტის „სოციალური დაცვის სისტემის გარდაქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძემ**

**Prequalification Notice for Fast-Track Lot of the Project Energy Efficiency Measures and Approach to EU-Energy Efficiency Standards in Buildings**

Country: **Georgia**

Employer: **Municipality of Batumi**

Project: **Energy Efficiency Measures and Approach to EU-Energy Efficiency Standards in Buildings**

Funding Source: **German Financial Cooperation**

Grant No: **BMZ-No. 2017 68 696**

Contract: **Fast-Track Lot**

KfW Procurement No: **508132**

Type of Notice: **Prequalification Notice**

Issued on: **23 March 2022**

Deadline: **25 April 2022**

1. The Municipality of Batumi has received financing from KfW Development Bank and intends to apply part of the proceeds toward payments under the project "Energy Efficiency Measures and Approach to EU-Energy Efficiency Standards in Buildings". The overall objective of the project is to improve the energy efficiency performance, to ensure sustainable structures and to improve comfort conditions for users in selected kindergartens. Future energy savings will contribute to reduced greenhouse emissions and to sustainable development in Batumi.

2. The Municipality of Batumi now intends to prequalify Applicants for construction works of the first lot ("Fast-Track Lot") of the project consisting of four kindergartens located within the city centre of Batumi. Construction works comprise of the energy-efficient rehabilitation and modernization of the four kindergartens, amongst others the increase of structural integrity, energy efficiency, and basic comfort. The awarded contractor is expected to execute the construction works for all four kindergartens entirely.

For purposes of establishing an Applicant's eligibility and qualification, Applicants must demonstrate that they substantially satisfy, among others, the following minimum requirements:

a) Not been declared ineligible by KfW, and/or not subject to sanction from either Germany, the European Union or the United Nations in accordance with the lists of exclusion established by these institutions regarding fight against terrorism;

b) No conflicts of interest;

c) Non-performance of a contract did not occur as a result of Applicant's default as a prime contractor, joint venture member or subcontractor within the last five (5) years;

d) Not under suspension based on execution of Bid Securing Declaration;

e) Soundness of Applicant's financial position through submission of audited financial statements for the last five (5) years;

f) Minimum average annual turnover of 1.5 million EUR;

g) Construction Experience within the last ten (10) years including installation of energy efficient heating systems, thermal fa?ade insulation, energy-efficient windows, doors or sunshades, and electrical works and installations in buildings;

h) ISO 9001 and ISO 45001/OHSAS 18001 certificates.

It is expected that the Invitation for Bids for prequalified Bidders will be made in May 2022. Tentative commencement of the construction works is summer/autumn 2022.

3. Prequalification will be conducted in accordance with the procedures as specified in KfW Development Bank's "Guidelines for Procurement of Consulting Services, Works, Plant, Goods, and Non-Consulting Services in Financial Cooperation with Partners Countries" (available on KfW's website ) and is open to all eligible Applicants as defined therein.

4. Interested eligible Applicants may obtain further information from the Municipality of Batumi during office hours, at the contacts below. A complete set of the Prequalification Document in English may be obtained electronically in PDF format free of charge by interested Applicants upon submission of a written application to the following e-mail address:

**Ms. Rusudan Zhozhadze**
**Head of Municipality Policy Department**
**rzhozhadze@gmail.com**

The written application shall be accompanied by a cover letter clearly stating the company name, country of domicile and contact details.

5. Applications for prequalification should be submitted predominately in English language to the address below either by mail or by hand in clearly marked and sealed envelopes by **12:00 (noon) CET on 25 April 2022.** Upon submission, the time and date of submission will be officially recorded.

**1 (one) original, 2 (two) hard copies and 1 (one) scanned electronic copy in PDF format** addressed to:

**Municipality of Batumi**
**Batumi City Hall**
**25 Luka Asatiani Str.**
**Batumi 6010**
**Georgia**

The submission of the original Application is decisive. The time of receipt of the original documents at the Municipality of Batumi will prevail. Late Applications will be rejected and returned unopened.

Batumi, March 2022

**წინასაკვალიფიკაციო შერჩევის ცნობა პროექტის „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება" დაჩქარებული ლოტისთვის**

ქვეყანა: **საქართველო**

დამსაქმებელი: **ბათუმის მუნიციპალიტეტი**

პროექტი: **ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება**

ფინანსური რესურსები: **გერმანიის ფინანსური გაერთიანება**

საგრანტო No: **BMZ-No. 2017 68 696**

ხელშეკრულება: (დაჩქარებული ლოტი) **Fast-Track Lot**

KfW შესყიდვის No: **508132**

შეტყობინების ტიპი: **წინასაკვალიფიკაციო ცნობა**

გამოქვეყნდა: **23 მარტი 2022**

მიღების საბოლოო ვადა: **25 აპრილი 2022**

1. ბათუმის მუნიციპალიტეტმა მიიღო დაფინანსება KfW განვითარების ბანკისგან და აპირებს შემოსული თანხის ნაწილი გამოიყენოს პროექტის „ენერგოეფექტურობის ღონისძიებები და ევროკავშირის ენერგოეფექტურობის სტანდარტებისადმი დაახლოება" განსახორციელებლად. პროექტის საერთო მიზანია ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება, მდგრადი სტრუქტურების უზრუნველყოფა და შერჩეულ საბავშვო ბაღებში მომხმარებლებისთვის კომფორტის პირობების გაუმჯობესება. მომავალში ენერგიის დაზოგვა ხელს შეუწყობს სათბური ემისიების შემცირებას და ბათუმის მდგრად განვითარებას.

2. ბათუმის მუნიციპალიტეტი გეგმავს მოახდინოს აპლიკანტთა წინასაკვალიფიკაციო შერჩევა პროექტის პირველი ლოტის („Fast-Track Lot") სამშენებლო სამუშაოებისთვის, რომელიც შედგება ქ. ბათუმში მდებარე ოთხი საბავშვო ბაღისგან. სამშენებლო სამუშაოები მოიცავს ოთხი საბავშვო ბაღის ენერგოეფექტურ რეაბილიტაციას და მოდერნიზაციას, მათ შორის სტრუქტურული მთლიანობის, ენერგოეფექტურობისა და საბაზისო კომფორტის გაზრდას. გამარჯვებული კონტრაქტორი ოთხივე საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოებს, მთლიანად შეასრულებს.

განმცხადებლის უფლებამოსილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისობის მიზნით, განმცხადებლებმა უნდა აჩვენონ, რომ ისინი არსებითად აკმაყოფილებენ შემდეგ მი-ნიმალურ მოთხოვნებს:

ა) KfW-ის მიერ არ არის გამოცხადებული დაუშვებლად ან/და არ ექვემდებარება სანქციებს არც გერმანიის, არც ევროკავშირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან ამ ინსტიტუტების მიერ ტერორიზმის ბრძოლასთან დაკავშირებით შექმნილი გამორიცხვის სიების შესაბამისად;

ბ) არ არის ინტერესთა კონფლიქტი;

გ) არ ჰქონია ადგილი ხელშეკრულების შეუსრულებლობას განმცხადებლის, როგორც მთავარი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის ან ქვეკონტრაქტორის მხრიდან ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაციის საფუძველზე არ აქვს შეჩერებული ტენდერში მონაწილეობის უფლება;

ე) განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობა დადასტურებულია ბოლო ხუთი (5) წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშგების წარმოდგენით;

ვ) მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა 1,5 მილიონი ევრო;

ზ) სამშენებლო გამოცდილება ბოლო ათი (10) წლის განმავლობაში, მათ შორის შენობებში ენერგოეფექტური გათბობის სისტემების, ფასადის თბოიზოლაციის, ენერგოეფექტური ფანჯრების, კარების ან მზის დამცავი ფარდების, ელექტრო სამუშაოებისა და მონტაჟის ჩათვლით;

თ) ISO 9001 და ISO 45001/OHSAS 18001 სერტიფიკატები.

წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტების წარმდგენი აპლიკანტების შეხვედრა, სავარაუდოდ, გაიმართება 2022 წლის მაისში. სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო დაწყება იგეგმება 2022 წლის ზაფხული/შემოდგომაზე.

3. წინასაკვალიფიკაციო შერჩევა ჩატარდება KfW გერმანიის განვითარების ბანკის „საკონსულტაციო მომსახურების, სამუშაოების, ქარხნის, საქონლისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სახელმძღვანელოში პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობისას" (ხელმისაწვდომია KfW-ის ვებსაიტზე) დადგენილი პროცედურების შესაბამისად და ღიაა ყველა კანდიდატისთვის, თუ ის შესაბამისობაშია სახელმძღვანელოს მოთხოვნებთან.

4. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ ბათუმის მუნიციპალიტეტისგან ქვემოთ მოცემულ კონტაქტებზე სამუშაო საათების განმავლობაში. წინასწარი საკვალიფიკაციო დოკუმენტის სრული ნაკრები ინგლისურ ენაზე შეიძლება მიღებულ იქნეს ელექტრონულად PDF ფორმატში, უფასოდ, დაინტერესებული აპლიკანტების მიერ წერილობითი განაცხადის წარდგენის შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე:

**ქ-ბ რუსუდან ჟოჟაძე**
**მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი**
**rzhozhadze@gmail.com**

წერილობით განცხადებას უნდა დაერთოს თავფურცელი, რომელშიც მკაფიოდ არის მითითებული კომპანიის სახელი, საცხოვრებელი ქვეყანა და საკონტაქტო ინფორმაცია.

5. წინასაკვალიფიკაციო განაცხადები წარდგენილ უნდა იქნეს ძირითადად ინგლისურ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე ფოსტით ან ხელით მკაფიოდ მონიშნულ და დალუქულ კონვერტებში 2022 წლის 25 აპრილის 12:00 (შუადღის) ევროპის ცენტრალური დროით. წარდგენის შემდეგ, წარდგენის დრო და თარიღი ოფიციალურად ჩაიწერება.

1 (ერთი) ორიგინალი, 2 (ორი) ნაბეჭდი ასლი და 1 (ერთი) სკანირებული ელექტრონული ასლი PDF ფორმატში, მისამართი:

**ბათუმის მუნიციპალიტეტი**
**ბათუმის მერია**
**ქ. ლუკა ასათიანის ქ. №25**
**ბათუმი 6010**
**საქართველო**

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორიგინალური განაცხადის წარდგენას. ბათუმის მუნიციპალიტეტში განსაზღვრული იქნება საბუთების ორიგინალების მიღების დრო. დაგვიანებული განაცხადები უარყოფილი იქნება და დაბრუნდება გაუხსნელად.

ბათუმი, მარტი, 2022 წელი

# შუახევიდან – სომალიში, სომალიდან – რუსეთში

## ვინ არის ექიმი, რომლის სახელიც წყაროს წყალს დაარქვეს

მე-5 გვერდიდან

**- გოგაძეებელი ავთანდილ დავითაძის შვილების სარბიელი...**

- ჩვენი ოჯახი მრავალშვილიანი იყო - ხუთი ძმა და ორი და. ცნობილი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია ჩვენი საამაყო ძმა - ემენ დავითაძე. ასევე ვამაყობთ პედაგოგი და აგრონომი ძმებით. ჩვენს წარმატებაში მშობლებს უდიდესი წვლილი მიუძღვით. დედა სულ მარიგებდა, გაჭირვებულ ადამიანს დავხმარებოდი, არდადეგების დროს კი იმათ სიას მახვედრებდა, ვინც ამას საჭიროებდა.

**- რას ითხოვთ შვილებისგან?**

- იცხოვრონ მართალი ცხოვრებით, დაეხმარონ გაჭირვებულებს, პატივი სცენ უფროს თაობას, არ დაივიწყონ ქართული ტრადიციები. მშობლების რჩევა-დარიგებებს ყური უგდონ და არასდროს გახდნენ ქედმაღალნი.

**- როგორ შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში ნანი თავბერიძე?**

- ნანი ჩემი ქალღმერთია, ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი და განუყრელი თანამგზავრი. ერთად ვეწევით ცხოვრების ჭაპანს, ცხოვრების გზაზე სიძნელეები მრავლად შეგვხვედრია, თუმცა ერთმანეთის თანადგომითა და სიყვარულით ყველაფერი გადავლახეთ. ნანი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელში სწავლობდა. სწორედ იქ შევხვდი მას პირველად და გულში ჩამივარდა. შემდეგ, კურორტ ნაბეღლავში ვიხილე ჩემი საოცნებო ქალი და... მაშინ ვთქვი, რომ ნანის აღარსად გავუშვებდი. მალე შევუღლდით კიდეც. მინდა ვუსურვო კაცობრიობას, ჩემს კოლეგებს და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას მშვიდობა, ჯანსაღი ცხოვრება, უღრუბლო ცა, შემართება და მოთმინება მათ წინაშე არსებული თუ მოსალოდნელი პრობლემების გადაჭრის გზაზე.

# NESTLE-ს რუსული ბაზრიდან პოპულარული ბრენდები გააქვს




შვეიცარიულ კომპანია Nestle-ს, რომელიც ათობით სხვადასხვა დასახელების პროდუქტს აწარმოებს, რუსული ბაზრიდან პოპულარული ბრენდები, მათ შორის KitKat-ი და Nesquik-ი გააქვს.

BBC-ის ინფორმაციით, მარტის დასაწყისში კომპანიამ რუსეთში ინვესტიციები შეწყვიტა და ახლა მხოლოდ აუცილებელს - ჩვილ ბავშვთა საკვებს, სამედიცინო და საავადმყოფოს კვების პროდუქტებს გაყიდის.

შეგახსენებთ, გასულ კვირას უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ Nestle იმის გამო გააკრიტიკა, რომ ჯერ კიდევ აწარმოებდა ბიზნესს რუსეთში.

ბოლო მონაცემებით, რუსული ბაზარი ჯერ კიდევ არ დაუტოვებიათ M&S-სა და Burger King-ს.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს
«გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება -
შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000,
ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა
გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 23/03/22, 20 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# სიკეთის მარათონი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*გუშინ ორგანიზაცია „სიკეთის ესტაფეტის“ ხელმძღვანელმა, ველომოგზაურმა ნოდარ ბერიძემ ბათუმის საბაგიროს სადგურიდან სიკეთის მარათონი - „ძმა - ძმისთვის“ დაიწყო, რომელიც ბათუმის მასშტაბით გაიმართა. მარათონის ფარგლებში შეგროვდება ჰუმანიტარული დახმარება უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს დაზარალებული მეგობრებისთვის*

აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან სწორედ უკრაინაში დაიწყო მისი ველომოგზაურობა. ამჟამად 11 ათას კილომეტრზე მეტი აქვს გავლილი. ამიტომ გადაწყვიტა, სხვებთან ერთად, მოქალაქეთა ჩართულობით, მისმა ორგანიზაციამაც შეიტანოს ამ კეთილ საქმეში წვლილი.

მარათონში მონაწილეობის მისაღებად ბათუმში ქობულეთელი ვეტერანი ველოსიპედისტი, 78 წლის იოსებ აროზელიძე ჩამოვიდა. მან ბავშვობიდან დაიწყო სპორტულ სკოლაში ვარჯიში და მას შემდეგ ველოსიპედს არ მოშორებია. იყო აჭარისა და საქართველოს ნაკრებების წევრი საგზატკეცილო ველოსპორტში. ახლაც ხშირად ნახავთ მას ბათუმი - ფოთის გზაზე ველოსიპედით. არაერთხელ უმოგზაურია ველოსიპედით მთელი საქართველოს მასშტაბითაც. ხშირად გაუვლია 100-ზე მეტი კილომეტრი. გზას ეტაპებად ანაწილებს. ყოველწლიურად აწყობს ასეთ ტურებს ხან მეგობართან ერთად, ხანაც მარტო.

- ველომარათონში მონაწილეობის მიღება ნოდარმა გვთხოვა. დღეს 20 კილომეტრს დავფარავთ. ეს ჩემთვის გასართობი მანძილია, - გვითხრა ბატონმა იოსებმა.

მეორე მარათონელიც ქობულეთიდან გახლდათ. აქტიურ სპორტში 5-6 წელი დაჰყო. საქართველოს ნაკრების წევრი იყო. ახლა მოყვარული ველორბოლელია.

- მარათონებში იშვიათად ვმონაწილეობ, უფრო ჩემი სიამოვნებისთვის ვვარჯიშობ, მაგრამ როცა ამ მარათონის დანიშნულება გავიგე, გადავწყვიტე, მონაწილეობა მეც მიმეღო, - გვითხრა ნოდარ კაცაძემ.

გუშინდელი ველოტურის დროს მონაწილეები სხვადასხვა ხალხმრავალ ლოკაციაზე ჩერდებოდნენ, სადაც თანამოქალაქეებს „სიკეთის მარათონისა“ და მისი კეთილშობილური მიზნების შესახებ უამბობდნენ.

ველოსიპედისტების გასაცილებლად ფერეიდნელი შარამ ონიკაძე მოვიდა, რომელიც ამჟამად ბათუმში იმყოფება. ის მეგობრობს ნოდართან, რომელიც ფერეიდანში გაიცნო. შეგახსენებთ, რომ ეს ის ფერეიდნელია, რომელიც ორი წლის წინ სამ მეგობართან ერთად ფერეიდანიდან საქართველომდე ფეხით ჩამოვიდა. ამჟამად ქალიშვილი ელენიკო და მეუღლე ნათია ახლავს. როგორც გვითხრა, საქართველოში ხშირად ჩა-




მოდის. მთამსვლელია და ყაზბეგში მყინვარწვერზეცაა ნამყოფი. აჭარაში არაერთხელ ჩამოსულა. ამჟამად გურიაში, სოფელ ნატანებში იყო. თუ ამინდმა ხელი არ შეუშალა, რაჭაში აპირებს წასვლას. საქართველო ძალიან უყვარს და ბევრი მეგობარიც ჰყავს, გულისტკივილით გაიხსენა ბათუმელი აწ განსვენებული ტარიელ ფუტკარაძე.

20 ნოემბერს ნოდარ ბერიძე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნაზე ჩასვლას გეგმავს ყატარის დედაქალაქ დოჰაში. ამ ველოტურს ბათუმიდან დაიწყებს. გადაივლის გოდერძის უღელტეხილს, გადავა ერევანში, იქიდან დაბრუნდება თბილისში, შემდეგ გაივლის ბაქოს, თეირანს, ერაყის სამხრეთ ნაწილს, ქუვეითს, საუდის არაბეთს, ბაჰრეინს და საუდის არაბეთიდან შევა ყატარში - დოჰაში. მანამდე საქართველოში მოაწყობს 100-დღიან ველოტურს. ასეთი რამ აქ ჯერ არ ჩატარებულა. ეს ცნობილ მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას ოცნება იყო, რომელსაც ნოდარი აასრულებს. მარტო მოგზაურობს, მაგრამ სხვადასხვა ეტაპზე შემოუერთდებიან მოყვარული ველოსიპედისტები. ბათუმიდან ქობულეთამდე - ბათუმელები, ქობულეთიდან ფოთამდე - ოზურგეთელები და ქობულეთელები და ასე შემდეგ. ყველგან გაიმართება შესაბამისი ღონისძიებები. რა თქმა უნდა, მოგზაურობა საქველმოქმედო იქნება და შეგროვებული თანხა თუ სხვა საჩუქრები გადაეცემა როგორც უკრაინელებს, ისე მაღალმთიანი აჭარის ხელმოკლე ოჯახებს.

*P. S. ვისაც გსურთ მონაწილეობა „სიკეთის მარათონში“ - დაეხმაროთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების დროს დაზარალებულ ადამიანებს, ასევე მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებ ხელმოკლე ოჯახებს, ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ ნომრებზე: 555 95 59 95, 571 61 00 00.*

# გიორგი დიმიტრაძე საქართველოს ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*თელავში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ბილიარდის სახეობაში - „დინამიური პირამიდა“, სადაც წარმატებით იასპარეზა აჭარის ნაკრებმა*

2021 წლის საქართველოს საუკეთესო მობილიარდე გიორგი დიმიტრაძემ კვლავ გაამართლა ეს ტიტული და დაამტკიცა, რომ უძლიერესია. ფინალში მან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი პაატა ხმალაძე დაამარცხა და ჩემპიონობა დაისაკუთრა. გიორგი დიმიტრაძე მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.

სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ მანუჩარ მოწყობილის მესამე ადგილი.

- ეროვნულ ფედერაციასთან შეთანხმებით, ჩემპიონატზე 10 წლის მობილიარდე ლევან კიკალიშვილი წავიყვანეთ. გადაწყვეტილებამ გაამართლა - სამი გამარჯვებითა და ორი მარცხით, მან 24 მობილიარდეს შორის, მეცხრე-მეთორმეტე ადგილები გაიყო, რითაც სერიოზული სამომავლო განაცხადი გააკეთა, - გვითხრა აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თემურ კახიძემ.



# კვარაცხელია და დავითაშვილი ბათუმის „დინამოში“ ითამაშებენ

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ხვიჩა კვარაცხელია და ზურიკო დავითაშვილი კარიერას ბათუმის „დინამოში“ გააგრძელებენ. ინფორმაციას ამის შესახებ Geo Team-ი ავრცელებს.

ფეხბურთელები ეროვნული ლიგის მოქმედ ჩემპიონებს ევროტურნირებზეც დაეხმარებიან.

შეგახსენებთ, რომ კვარაცხელია - „რუბინში“, ხოლო დავითაშვილი ტულის „არსენალში“ ასპარეზობდა.

ამირან ბურიელიძე



# „პაქსლოვიდის“ პირველი პარტია საქართველოშია

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*კოვიდ-19-ის სამკურნალო პრეპარატ „პაქსლოვიდის“ პირველი პარტია საქართველოში უკვე ჩამოვიდა. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა რეგიონში, რომელშიც ეს მედიკამენტი ხელმისაწვდომი ხდება და ის პაციენტებს უფასოდ გადაეცემათ*

„პაქსლოვიდი“ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ შექმნილი პირველი ყველაზე ეფექტური წამალია. მედიკამენტი ვირუსს გამრავლების უნარს უზღუდავს. ინფიცირების დადასტურებისთანავე „პაქსლოვიდის“ გამოყენების შემთხვევაში, დაავადება ვეღარ პროგრესირებს, რაც ამცირებს ჰოსპიტალიზაციის რისკს. მედიკამენტი 90%-მდე იცავს დაავადების გართულებისგან.

„პაქსლოვიდით“ მკურნალობა ვირუსის დადასტურების ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყოს. მკურნალობის კურსი 5 დღეს მოიცავს.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კლინიკური ჯგუფის ექსპერტებთან ერთად უკვე შემუშავებულია შესაბამისი პროტოკოლი, რომლის მიხედვითაც ის პრიორიტეტული პაციენტები განისაზღვრა, ვისთვისაც მედიკამენტებია განკუთვნილი. პრეპარატის გამოყენება მსუბუქი და




საშუალო სიმძიმის იმ პაციენტებში მოხდება, ვისაც პროგნოზულად დამძიმების მაღალი რისკი აქვთ, როგორიცაა ქრონიკული დაავადების მქონე პირები, ხანდაზმულები და ა.შ.

პრეპარატის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას პაციენტის ოჯახის ექიმი მიიღებს და მისი მიწოდება ბინაზე მოხდება.

კოვიდ-19-ის სამკურნალო მედიკამენტი კომპანია Pfizer-მა შექმნა. „პაქსლოვიდი“ აღიარებულია როგორც აშშ-ის სურსათისა და წამლის სააგენტოს (FDA), ასევე ევროპის წამლის სააგენტოს (EMA) მიერ. პრეპარატი უკვე ფართოდ გამოიყენება როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ევროპის ქვეყნებში.